საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 2 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 – 2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 121 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 121

ღრმად დამწუხრებულნი სასტუმრო „ნოესთან“ არსებულ ცენტრალური არტელის ამხანაგობა ამით აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს, რომ ორშაბათს, 31 მაისს (ახ. სტ.) საღამოს 6 საათზე საქართველოს სახაზინო რკინის გზის საავათმყოფოდან გასვენებულ იქნა ზემო უჩხობში (გურია) ადერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლის დროს მოკლული ძვირფასი წევრი ამხანაგობისა

## გერმანე ალექსის ძე შავიშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 3 ივნისს (ახ. სტ.) 12 საათზე. ზემო უჩხობში. (გურია). (1745—2—2)

ღრმად დამწუხრებული და ცხოვრებაში მუდამ მტირალი მამა ალექსი, ძმა ვასიკო, დები და სიძეები: კაკი და ივანე ყურაშვილები შვილებით, ელპიტი და ანდრი გოლიაძეები, ციცინო და თეოფილე გორდელაძეები შვილებით, ნინა და მეთოდე გოგვაძეები შვილით, უმცროსი და მარო ძმის ალერსს მოკლებული, ბიძაშვილები ავქსენტი და ნატალია შვილებით, ნიკიფორე და ფატი შვილით შავიშვილები, მამიდა ივლიტე, მამიდაშვილები ნოე და მარიამ, გიორგი კვირკელიძეები ვაცნობებთ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა წლის მაისის 15-ს შაბათს, წითელი ხიდის მიმართულებით მუხანათ მტერთან ბრძოლაში მოკლულ იქნა ჩვენთვის დაუვიწყარი და მუდამ სახსოვარი გვარდიელი თფილისის 2-რე ათასეულის 1-ლი ასეულისა

## გერმანე ალექსის ძე შავიშვილი

რომლის ცხედარი გამოსვენებული იქნა რკინის გზის საავათმყოფოდან 31 მაისს, საღ. 6 ს. სამშობლო მხარეში სოფ. ზედა-უჩხობში (გურია) დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 3 ივნის, (ახ. სტ.) 12-ს. (1746—2—2)

შაბათს 5 ივნისს (ახალი სტილით) ქ. ფოთში სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი დაუვიწყარი

## ციცინო იოსეს ასული ხორავასი

სულის მოსახსენებლად, რასაც თვალცრემლიანი ივანე ტარიელის ძე ხორავა, შვილები: გრიშა, ოლია, ივანე, დათიკო და თამარი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ. (ფ. 1—1)

გაუბედურებული და გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ვერა ყიფიანისა, შვილი ევგენი, ძმა გრამიტონ, ძმის წული ლევანი, ბიძაშვილი ლალაკო ყიფიანები და ცოლის ძმა ერმალო ავალიანი გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

## სარდიონ გუჯუს ძე ყიფიანის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება სამების ეკლესიიდან 10 საათზე, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე ივნისის 2 დღითი ოთხშაბათს. (1756 1—1)

# მეაბრეშუმენო!

## აბრეშუმის პარკის მექანიკურად გამოშრობა:

1) პარკის გამოყენება შეიძლება გამოშრობიდან 24 საათის შემდეგ.

2) მექანიკურად გამოშრობილი პარკი არ კარგავს თავის ღირსებას როგორც კრძალ, აგრეთვე სხვა.

3) პარკის გამოშრობა ხდება სპეციალისტების ზედამხედველობით.

4) მექანიკურ საშუალებით გამოშრობილი პარკი უფრო მეტად ფასობს ბაზარზე, რადგანაც ხმოლების დროს უფრო კარგად იძლევა ძაფს.

განმარტებისათვის და ჩასაწერათ მ. ჭმარეთით ლომბარდის აბრეშუმის საროვ ქარხნის დირექტორის ბ-ნ მეცხველის. სამტრედიაში.

(1694—1—1)

## საზოგადოების საყურადღებოთ

ვინაიდან საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური კვლავ შეუდგა შრატის დამზადებას, ვთხოვ იმ პირთ, რომლებსაც შეტანილი აქვთ ხაზინაში ფული, ან მოიკითხონ შრატი ან მოითხოვონ უკან ფული ხაზინის ბარათების წარმოდგენით. პირველი სერია შრატისა გადაეგზავნა სავეტერინარო სამმართველოს. (თფილისი, კობის ქ. № 9).

(1765—1—1) საშრატე სადგურის გამგე მ. ფარცვანიძე.

# ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

1) სთხოვს ყველა თავის თანამშრომელს ყულაბები და შემოწირულებათა ასაკრეფი წიგნაკები დაუყოვნებლივ უკანვე დააბრუნონ სასახლეში, კომიტეტის კანცელარიაში.

2) ყველა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, კლუბებმა და კერძო პირებმა ფრონტის საჭიროებისათვის გაღებული თანხა ეხლავე უნდა შეიტანონ კომიტეტის კასაში, სასახლეში.

3) პროვინციის კომიტეტებმა, სადაც ფრონტის დღეები იყო მოწყობილი, უნდა საჩქაროთ გადმოგზავნონ შეგროვილი თანხები თფილისში მთავარ კომიტეტის ადრესით სასახლეში.

4) ყველა დაწესებულებანი, რომელთაც საჩუქრები აქვთ დამზადებული ან გაგზავნა აქვთ განზრახული, ვალდებულნი არიან აცნობონ რამდენსა და რომელ ფრონტზე ეპირებიან გაგზავნონ, უიმისოთ რკინის გზა ნივთებს არ მიიღებს.

5) დღეიდან ფრონტის საჭიროებისთვის შემოწირულებათა შეგროვება კომიტეტის ნება დაურთველად არ შეიძლება. თუ ეს პირობა დაცულ არ არის, ყველას ვთხოვთ აცნობონ მთავარ კომიტეტს.

## ყველას საყურადღებოთ

შემოწირულებათა დაწვრილებითი სია ფულითა და ნივთით შემოტანილი კომიტეტის საწყობში განცხადებულ იქნება ყველა გაზეთებში და აუცილებლად „საქართველოს რესპუბლიკაში“. თუ რაიმე გამოურკვევლობას ექნეს ადგილი, აცნობოს კომიტეტს. (1767—3—1)

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებს!

პარტიულ ორგანიზაციათა თათბირზე 26 მარტს დადგენილ იქნა ყრილობის მაისში მოწვევა. სხვადასხვა გარემოებათა გამო ეს არ მოხერხდა.

შექმნილი მდგომარეობა გვავალებს ყრილობის დაჩქარებით მოწვევას. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობა მოიწვიოს 6 ივნისს,** 12 საათზე, ქ. თფილისში.

ვაცნობებთ რა ამ დადგენილებას პარტიულ ორგანიზაციებს, ვთხოვთ მიიღონ შესაფერი ზომები, რომ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ მათ მიერ არჩეული დელეგატები ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

**ცენტრალური კომიტეტი** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშ. პარტიისა.

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ნ ი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკანტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა.
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმად ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს.

# დაიწყო მუშაობა

ახლად გახსნილმა პირკელმა კავკასიაში და საქართ. რესპუბ. ქალაქთა კავშირის

## ნამდვილი გრეხილი ვენის ავეჯეულობის ქარხანამ

მიიღება შეკვეთა სკამების, კრაოტების, ავტომობილის „დუგების“ და სხვა. შესაკვეთათ და ცნობების მისაღებათ მიმართეთ ქარხნის კანტორაში, ანტონიევის ქუჩა № 1, ჩერქეზოვის კუთხე.

(ნ. 10—6)

იყიდება იმერული შალები

## რიგიან ფასებში

შავი, ლურჯი, მიხაკის ფერი, ბორდო, ნაცრისფერი და სხვა ფერები.. რუსთაველის პროსპექტი, სასტუმრო უნივერსალში, ოთახი № 39. დილის 9 ს. საღ. 6 ს. **გერაძე და თედორაძე.**

(1762 2—1)

# „საბჭოთა ადერბეიჯანი“

ადერბეიჯანის დღევანდელი მესვეურნი ხშირად ხაზგასმით იმეორებენ, რომ საბჭოთა წესების გამოცხადებით ადერბეიჯანს სრულებითაც არ დაუკარგავს დამოუკიდებლობა, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკა ხელშეუხებელია, რომ ადერბეიჯანში მხოლოდ შინაგანი გადატრიალება მოხდა—ბეგების მთავრობა დაეცა და სახელმწიფოს სათავეში დაუდგა „მუშათა და გლეხთა მთავრობა.“ ჩვენთვის თავიდანვე აშკარა იყო, რომ ეს შეუძლებელია ასე იყოს. „გაკომუნისტება“ ადერბეიჯანისა, რომელიც ოდნავადაც ვერ გასცილებია ფეოდალიზმის ნიადაგს, ეს ისეთი აბსურდია და ისევე დაუჯერებელია, როგორც იმის თქმა, რომ, მაგ., ზულუსების ან ჰოტენტოტების ქვეყანა ერთის ხელის დაკვრით მსხვილ ინდუსტრიის ქვეყანად გადაიქცაო. ადერბეიჯანის მოსახლეობა დღეს იმ კულტურულ დონეზე დგას, რომ მისი სახელმწიფოებრივი მართვა მხოლოდ ზევიდან არის შესაძლებელი. ადერბეიჯანს მართავდა ნიკოლოზის გუბერნატორი, ნამესტნიკი და პეტერბურგის სამინისტრო; რევოლიუციის შემდეგ მას მართავდა მუსავატისტური კაბინეტი, რომელიც, მეფის მთავრობისავით, არავისაგან არ იყო არჩეული; დღეს მას მართავს ისევ რუსეთიდან მოსული ხალხი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობას სრულებითაც არ ემყარება და არც საჭიროებს. ერთიც, მეორეც, მესამეც ხალხს ერთნაირად დაშორებულია; ადერბეიჯანის ხალხი სამივეს ერთნაირად უყურებს, როგორც სრულიად უცნობ ძალას. პრინციპიალურად არავითარი განსხვავება არ არის ნიკოლოზის მონარქისტულ, მუსავატის „რესპუბლიკანურ“ და „კომუნისტების“ „სოციალისტურ“ წესებს შუა. სამივე ერთნაირად დაშორებულია დემოკრატიზმს, ხალხის ხელმწიფებას. სამივე უცხო ძალას აბატონებს ადერბეიჯანის ხალხზე და ამ ხალხის პოლიტიკურ მონობის ულელი სრულებითაც არ რბილდება იმით, რომ ნიკოლოზის ნამესტნიკის ადგილი დაიჭირა „მუსავატმა“ და „მუსავატი“ შესცვალა ბაქოს „რევკომმა“.

საბჭოთა რუსეთის ჯარების შესვლით ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა ისპობა. საბჭოთა ჯარების შესვლა ადერბეიჯანის დაპყრობას უდრის და არაფრით არ განსხვავდება მის დაპყრობისაგან თვითმპყრობელ რუსეთის მიერ. როგორც ძველი რუსეთის ბატონობის დროს, საბჭოთა მთავრობაც ადერბეიჯანის ხალხის მორჩილების განმტკიცებას ძალადობის გზით შეეცდება, რადგან მოსულ უცხო ძალას ვერ ექნება ვერავითარი ნდობა და ავტორიტეტი თვით ხალხის თვალში.

დღითი-დღე ეს უფრო და უფრო ცხადი ხდება. ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ძლიერდება ხმები ადერბეიჯანის მცხოვრებთა უკმაყოფილების შესახებ. საბჭოთა ჯარები ადერბეიჯანში ხელცარიელი შემოვიდენ, თან არ მოუტანიათ არც პური და არც სხვა სურსათი, რაც ჯარის გამოსაკვებათ არის საჭირო. ჯარი იძულებულია ადგილობრივ მცხოვრებთ წაართვას უკანასკნელი ლუკმა პური და მით გამოიკვებოს. დამშეულ ჯარისკაცისათვის შეუძლებელია, რომ მან „რეკვიზიციის“ დროს ოდნავათ მაინც დაიცვას ზომიერება და კანონიერება და „რეკვიზიცია“ მცხოვრებთა რბევათ არ გადააქციოს. აუცილებლად უნდა განმეორდეს ის, რასაც ადგილი ჰქონდა ორი წლის წინათ, როდესაც ოსმალეთიდან დაძრული რუსეთის ჯარის ეშელონები ბრუნდებოდენ სამშობლოში ადერბეიჯანის გზით. გარდაუვალია განმეორება იმ ამბებისა, რომელიც მოხდა 1918 წელში შამქორში, განჯაში და სხვა ადგილებში.

ამ აჯანყების დასაწყისი უკვე აშკარაა. განჯა უკვე ხელში ჩაუგდიათ აჯანყებულებს, რომლებსაც „სლოვოს“ და „გრუზიას“ გადმოცემით, დიდი ზიანიც მიუყენებიათ განჯის „საბჭოთა მთავრობისათვის“. მართალია, აჯანყება უკვე ჩაუქრიათ არტილერიის საშუალებით, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ამით, რა თქმა უნდა, ვერ მოსპო ის უკმაყოფილება, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება ადერბეიჯანის მცხოვრებთა შორის რუსეთის ჯარების წინაალმდეგ და რომელიც გამოიხატება მცხოვრებთა თავდასხმაში რკინის გზით მიმავალ „წითელ“ ეშელონებზე.

„საბჭოთა ადერბეიჯანი“—ეს ისტორიული აბსურდია. ადერბეიჯანი ან სრულიად ჩამოშორდება რუსეთს, ან სულ რუსეთის ნაწილი გახდება და რუსეთს მუდამ სამხედრო ძალის საშუალებით დასჭირდება მისი მორჩილების განხორციელება. ეს ჭეშმარიტება, როგორც სჩანს, შეუგნია მოსკოვის „სოვნარკომს“.

მოსკოვიდან მოვიდა რადიო ცნობა, „თათართა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკის“ დაარსების შესახებ. პირდაპირ არ არის დასახელებული ადერბეიჯანი, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ მაზე უნდა იყოს ლაპარაკი. თუ ეს ასეა, თუ რადიო-ცნობა ადერბეიჯანს შეეხება, მაშინ აშკარა ხდება, რომ „ადერბეიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ გაუქმებულა არა მარტო ფაქტიურად, როგორც აქამდისაც იყო, არამედ ფორმალურადაც. ადერბეიჯანი აღარ იარსებებს, როგორც სახელმწიფო, როგორც „რესპუბლიკა“, იგი მხოლოდ „ავტონომია“, ავტონომიური პროვინცია-ღა იქნება. ავტონომიის ფარგალი ცენტრში, მოსკოვში ისაზღვრება.

ჯერ ჯერობით ადგილობრივ მუშათა დეპუტატების საბჭოებს და ნარკომებს კარგა დიდი კომპენტენციები აქვთ დატოვებული. მაგრამ მოსკოვმა უკვე ჩამოართვა ადერბეიჯანს და თითონ სავსებით მიისაკუთრა ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის გზები, საგარეო ვაჭრობა, შრომის ინსპექცია. გარდა მაგისა, როგორც ყოველ ავტონომიურ მმართველობაში, ის თავისუფლება, რომელსაც მოსკოვი ადერბეიჯანს ანიჭებს, არ არის ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული: ეს ავტონომია მოსკოვის მიერ არის „ნაბოძები“ და, მაშასადამე მოსკოვს შეუძლიან მისი შეზღუდვა და მთლად უკან წაღებაც.

მოსკოვის „სოვნარკომის“ დადგენილებას არაფერი აქვს საერთო ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპთან, იგი ამ პრინციპის ფეხქვეშ გათელვას უდრის. „ადერბეიჯანის რესპუბლიკა“ აღარ არსებობს, იგი გადაიქცა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის პროვინციათ.

# ჩვენ და სხვები

ზოგიერთ ჩვენს წრეებში საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებთან დამოკიდებულებაზედ ის აზრი ტრიალებს, რომ მათთან არ შეიძლება არავითარი შეთანხმება და საერთო პროგრამის და მოქმედების გეგმის გამონახვა. ჩვენ უნდა გავარჩიოთ, თუ რომელ პარტიებზედ არის დავა. რაც შეეხება ბურჟუაზიულ პარტიებს, მიუხედავათ მათი გარეგნული დემოკრატიზმისა, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია მათთან შეთანხმება და საერთო პოლიტიკური მუშაობა. მათი სულისკვეთებაა შეძლებისამებრ ისარგებლონ დემოკრატიული წყობილებით და გაამაგრონ ბურჟუაზიული წრეები და მათთვის შესაფერი სოციალურ-პოლიტიკური პირობები შექმნან. მათი დევიზია: დემოკრატიის საშუალებით ბურჟუაზიულ წყობილების სამუდამო განმტკიცება. ჩვენი დევიზი კი სხვა არის: დემოკრატიით სოციალიზმისკენ! და ამას იზიარებს საქართველოში სხვა მომქმედი სოციალისტური პარტიებიც. მათთან შეთანხმება ზოგიერთ შემთხვევაში მისაღებია და მიზან-შეწონილი. ასეც ხდება ჩვენი პოლიტიკური მუშაობის დროს. მართალია, ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულება ჩვენი პარტიის ხელშია, მაგრამ ადგილობრივ თვითმართველობების აღმასრულებელ ორგანოებში მონაწილეობას იღებენ სხვა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნიც.

მომავალ პარტიულ ყრილობაზედ დასმულია საკითხი სხვა პარტიებთან დამოკიდებულებაზედ. მის დადგენილებას მნიშვნელობა აქვს არა დღევანდელი დღისთვის, არამედ ეხება მომავალ პოლიტიკურ ვითარებას. ჩვენ შეგვიძლიან თეორეტიულად წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა საქართველოში, როდესაც სხვა პარტიებთან საერთო გამოსვლა მიზან-შეწონილი იქნება დემოკრატიის მონაპოვარის დასაცავად. ამ შემთხვევაში პარტიულმა ყრილობამ არ უნდა შებოჭოს მისი ხელმძღვანელი ორგანოს თავისუფლება. უკანასკნელს შეძლება უნდა ჰქონდეს შემთხვევის დროს გამონახოს საერთო ენა სხვა სოციალისტურ პარტიებთან და თუ გარემოებამ ეს მოითხოვა, მათთან შეთანხმებით იმოქმედოს.

ჩვენის აზრით, შეთანხმება სოციალისტურ პარტიებთან, რომელნიც დამოუკიდებლობის და დემოკრატიის ნიადაგზედ დგანან, პრინციპიალურად მისაღებია, ხოლო ბურჟუაზიულ პარტიებთან საერთო პროგრამით გამოსვლა და ერთად მოქმედება, ყოველ შემთხვევაში, პრინციპიალურად მიუღებელია.

ბ. თეკლათელი.

# პ. ბ. აქსელროდის აზრი „ინგლისის მუშ. პარტიის“ გადაწყვეტილების შესახებ*)

„ინგლისის მუშათა პარტიამ“ (La dour Party) გადასწყვიტა საანკეტო კომისია გაგზავნოს რუსეთში. საინტერესოა ამხ. პ. აქსელროდის აზრი ამ გადაწყვეტილების შესახებ,—იმ აქსელროდის, რომელიც 1918 წლის ზაფხულიდან დაჟინებით მოითხოვდა ინტერნაციონალისაგან რ. სოც. დემ. მუშ. პარტიის (მენშევიკების) სახელით რუსეთში სოციალისტური საანკეტო კომისიის გაგზავნას.

„ის ფაქტი, რომ საკითხი რუსეთში საანკეტო კომისიის გაგზავნის შესახებ ამ ჟამად ბევრ ქვეყნის სოციალისტების ყურადღებას იპყრობს,—განაცხადა ამხ. პ. აქსელროდმა,—ეს ფაქტი დამამტკიცებელია იმისა, რომ ეს იდეა თანდათან მტკიცდება დასავლეთ ევროპის ჩვენს ამხანაგებში.

**მაგრამ მე ვეჭვობ ამ იდეამ იმ სახით, როგორც ეს განზრახული აქვთ განახორციელონ, მიაღწიოს იმ მიზანს, რაც, ჩემის აზრით, მას უნდა ჰქონდეს დასახული.**

კომისიის მთავარი დანიშნულება, ჩემის აზრით, იმაში მდგომარეობს, რათა ის ყოველმხრივ გაეცნოს ბალშევიკურ რეჟიმის ბუნებას ადგილობრივათ. ამას მოითხოვს რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სასიცოცხლო ინტერესები. ამ მოძრაობის კრიზისს ბოლო მანამდე არ მოეღება, სანამ დასავლეთის პროლეტარიატი დაბრმავებული იქნება ბალშევიკური დიქტატურით. მოსკოველი ბალშევიკებია მთავარი წყარო იმ პოლიტიკურ და ზნეობრივ საწამლავისა, რითაც მოწამლულია მთელი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა.

**მხოლოდ კომისიას, რომელიც ინტერნაციონალურ საფუძველზე იქნება მოწყობილი, რომელშიაც შეძლებისდაგვარათ შევლენ მუშათა მოძრაობის ყველა ფრაქციათა წარმომადგენლები,—მხოლოდ ასეთ კომისიას შეუძლია ბოლო მოუღოს ბალშევიზმის გამხრწნელ გავლენას და განათავისუფლოს პროლეტარიატი ბალშევიკურ იდეოლოგიისაგან.**

მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ არიან ბალშევიკების თაყვანისმცემლები, რომლებსაც სურთ წავიდნენ რუსეთში იმიტომ, რათა პატივი სცენ ლენინს; იმის მაგივრათ, რომ ჭეშმარიტება გამოარკვიონ, ისინი ცდილობენ მლიქვნელობა გასწიონ მუშათა მასსებისა და თავიანთ თავის წინაშე.

ეს ადამიანები, რასაკვირველია, მიბაძავენ ლენდსბიურის მაგალითს და განაცხადებენ მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ბალშევიკური რუსეთი სამოთხეა. მე უკვე აღვნიშნე, რომ ასეთ „გამომძიებელთა“ როლი ისეთივე უმნიშვნელო იქნება, როგორც რომელიმე ბურჟუას მოქმედება, რომელიც უნგრეთში გაემგზავრა არა იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს ჭეშმარიტება იქ არსებულ თეთრ ტერრორისა და მცხოვრებთა ჩაგვრის შესახებ, არამედ იმიტომ, რათა მოლაპარაკება გაემართა ფრიდრიხთან და მის ღირსეულ თანამშრომლებთან.

მაგრამ იმ ფაქტმა, რომ დასავლეთის სოციალისტებში მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც წინაალმდეგნი არიან მიუდგომელ სოციალისტურ გამოძიების იდეისა,—ამ ფაქტმა, ცხადია, არ უნდა დაუშალოს „ინგლისის მუშათა პარტიას“ იკისროს **საერთაშორისო** პროლეტარულ საანკეტო კომისიის მოწყობა და წინადადება მისცეს სხვა ქვეყნის ორგანიზაციებს,—მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ კომისიაში.

თითქმის ეჭვს გარეშეა, რომ „ინგლისის მუშათა პარტიის“ მოწოდებას გამოეხმაურებიან დასავლეთ ქვეყნების ყველაზე უფრო სერიოზული სოციალისტური პარტიები და სინდიკალური ორგანიზაციები. შვეიცარიის სინდიკატების კონფერენციამ უკვე გადასწყვიტა გაგზავნოს რუსეთში თავისი კომისია.

შეუძლებელია დავუშვათ, რომ ეს ორგანიზაცია არ აძლობინებს „ინგლისის მუშათა პარტიის“ წინადადებას მთლიან საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ. ასეთივე ტენდენცია, უეჭველია, არსებობს სხვა ქვეყნების სინდიკატებშიაც, კერძოთ ასეთივე ტენდენცია არსებობს საყოველთაო შრომის კონფედერეციაში საფრანგეთში. მე ვფიქრობ, რომ დიდათ სასურველი იქნებოდა კომისიაში იმ პირების მოწვევა, რომელთა სახელებიც დიდის ავტორიტეტით სარგებლობენ ინტერნაციონალში, მაგალითად მოწვევა კაუცკისა, ან ბერნშტეინისა. მათი კომისიაში მოწვევა იმ ფრაქციათა დანაკლისს მაინც შეავსებდა, რომლებიც უარს იტყოდნენ ანკეტაში მონაწილეობაზე და მით დაამტკიცებდენ, რომ მათ ან არ უნდათ ჭეშმარიტების გამორკვევა, ან კიდევ ეშინიათ მისი.

კომისიამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვას ის გარემოება, რომ ბალშევიკური მთავრობა ყოველგვარ საშუალებას იხმარს, რათა არ მიუშვას კომისია მასსებთან, ხელი შეუშალოს მას კონტაქტი დაიჭიროს ოპოზიციონურ ელემენტებთან, განსაკუთრებით პროლეტარულ ელემენტებთან; ბალშევიკური მთავრობა შეეცდება კომისიის ყურადღება დააბანდოს აღლუმებში და წარმოდგენებში და პირდაპირ, თუ არა პირდაპირ ხელი შეუშალოს კომისიის მოგზაურობას სახელმწიფოში. მხოლოდ **ფართო კომისია, რომელშიაც შევლენ მთავარ სოციალისტურ პარტიებისა და მუშათა სინდიკატების წარმომადგენელნი,** წარმომადგენელნი თუ მთელ ქვეყნიდან არა,—მთელ ევროპიდან მაინც,—მხოლოდ ასეთი კომისია შესძლებს დასძლიოს ყველა ეს დაბრკოლებანი და ყოველმხრივ გაეცნოს რუსეთის მდგომარეობას.

„ინგლისის მუშათა პარტიის“ გადაწყვეტილება, რომ გაერკვას რუსეთის საქმეებში, თუ გინდ მხოლოდ თავისი საკუთარ ძალებით,—უსათუოდ მოსაწონი ნაბიჯია. მაგრამ ამასთანავე მე მშინია, რომ ცალკე კომისიები არა მარტო შვეიცარიისა და ჩეხო-სლოვაკიის, არამედ ისეთ მძლავრი პარტიის კომი-

*) ამოღებულია „La Repudligne Russe“-დან, № 6, 15 მარტი 1920 წ.

რედ.

# დღეს

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთის ფრონტზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება.

გერმანიასა და რუსეთს შორის შეთანხმება მოხდა ტყვეების გაცვლის შესახებ.

ირლანდიის საკითხის გამო ლონდონში გამართულ მინისტრთა საბჭოს სხდომას დაესწრებიან დუბლინიდან გამოწვეული ხამხედრო ძალების უფროსები.

ინგლისში დიდი გრიგალის შემდეგ ადიდებულმა წყლებმა რამდენიმე ხოფელი წალეკა. ადამიანთა მსხვერპლი დიდია.

უნგრეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საზავო ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერს ეროვნული თავდაცვის მინისტრი.

---

### გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა

1 ივნისი.

ხულო-დანისპარეულის რაიონში გრძელდება ჩვენი ჯარის შეტაკება ადგილობრივ ბრბოებთან.

დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა.

---

სიაც კი, როგორიც არის „ინგლისის მუშათა პარტია“,—ასეთი კომისიები ვერ მიაღწევენ იმ მიზანს, რასაც ადვილათ განახორციელებდა **საერთაშორისო** კომისია.

თუ კი რ. ს. დ. მ. პარტიის დელეგაციის მიერ წამოყენებული ანკეტის იდეა განხორციელებული იქნება კერძო კომისიების საშუალებით,—ამ შემთხვევაში არა თუ სრულათ არ იქნება მიზანი მიღწეული,—იმისი შიშიც კი უნდა გვქონდეს, რომ უარყოფითი შედეგებს მივიღებთ,—მივიღებთ ერთი მეორის მოწინააღმდეგე დასკვნებს, რაც კიდევ უფრო გაადიდებს ქაოსსა და სიბნელეს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის წრეებში.

ვინაიდან ასეთი საფრთხე არსებობს; ჩემის აზრით, **„ინგლისის მუშათა პარტია“ უდიდეს ისტორიულ სამსახურს გაუწევდა საერთაშორისო პროლეტარიატსა და რუსეთის ხალხს, თუ იგი თავის თავზე მიიღებდა ინიციატივას მოეწყო საერთაშორისო სოციალისტური ხაგამომძიებლო კომისია.**

## პრესა

„მშაკი“ (№ 26) მეთაურში სწერს, რომ დღემდე სომხეთის იმედები და დაპირებები ევროპის მოწინავე სახელმწიფოებმა ვერ გაამართლეს, ამერიკის მიერ მანდატის მიღებაც არ განხორციელდა:

„სომხეთის ერთად ერთი სალი და ხელსაყრელი პოლიტიკა—თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობაა, მისი ერთად ერთი გზა, ერის ყველა ნაწილების მჭიდროდ შეერთებაშია.

„თუ დღეს დატანჯული სომხეთის ხალხი შესძლებს ამ რთულ და მძიმე პირობებში განახორციელოს საჭირო შეთანხმება საქართველოსთან, მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ამიერ-კავკასიის ორი ახლათ დაბადებული რესპუბლიკების ბედი ბეწვზე არ იქნება დაკიდებული. მაშინ ისინი ამ შეთანხმებაში და საერთო მოქმედებაში იპოვნიან იმ ძალას, რომელიც საეჭვოთ აღარ გახდის მათი განვითარების საკითხს.

„ეს ჩვენი აზრი ახალი არ არის; ეს აქამდისაც გამოგვითქვამს. მაგრამ იყვნენ ისეთი წრეები და, საუბედუროთ, ძალიან ბევრნი, რომლებსაც ეგონათ, რომ ჩვენი გაძლიერება შეიძლება მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით.

„დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო დამახასიათებელია იმისი, რომ შემცდარ ხაზზე არ შეიძლება სწორი პოლიტიკის გატარება.

„შევიგნოთ ეს ცხადი, შეიძლება, მწარე სიმართლე, და ახლათ დავიწყოთ ჩვენი სახლის აშენება, ძველი მეგობრობის განახლება, და ამ გზით წავიდეთ წინ, ჩვენ თავისუფალ ცხოვრების მონაპოვარ განმტკიცებისაკენ.

## საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესზე

წერილი ჟენევიდან

(დასასრული, იხ. „ერთობა“ № 120).

**ჰუასონი** (საფრანგეთი) მხარს უჭერს ბელგიელს. თუ აქამდის საერთაშორისო კავშირი არ შეიკრიბა, ეს არ არის მათი ბრალი. არმისტის შემდეგ ფრანგებმა შეკრიბეს მოკავშირეთა კოოპერატივები. ცოტა ხნის შემდეგ მათ მოაწყვეს მოკავშირეთა და ნეიტრალურ მხარეთა კოოპერატივების კონფერენცია. „ჩვენი სურვილი იყო, რომ საერთაშორისო კავშირი სამი თვის წინ შეკრებილიყო, მაგრამ ჰოლანდიელებმა და გერმანელებმა მოითხოვეს მისი გადადება დღემდის, და როცა ჩვენ დღეს ვიკრიბებით, განაგრძობს ორატორი, ისინი არსად სჩანან“. მართლაც, გერმანიის დელეგაცია არ ესწრება კონგრესს, მიზეზათ მათ მოყავთ ფრანკფორტის ოკუპაცია და წინადადებას იძლევიან, რომ კავშირი აგვისტოში შეიკრიბოს გერმანიაში.

„ვიმედოვნებ, ამთავრებს ჰუასონი, ეს მდგომარეობა მუდამ არ გაგრძელდება და ყველანი შეიგნებენ, რომ ყველასათვის სასარგებლო და აუცილებელია, რომ რაც შეიძლება ადრე ურთიერთობა და გულითადი დამოკიდებულობა ჩამოვარდეს ყველა ხალხთა შორის“.

**წელგეიმი** (რუსეთი) სთხოვს კონგრესს თავი დაანებოს ძველ დავას და ჩხუბს ურთიერთ გაუგებრობასა და განსხვავებას და საქმისათვის უკეთესი იქნება ერთმა მეორეს ხელი გაუწოდონ.

ამხ. ქალი **ფრონდლიხი** (ავსტრიის პარლამენტის წევრია) ამბობს ორატორების საპასუხოთ, რომ ავსტრიის კოოპერატივები სოციალისტური არიან და „თუ ჩვენ არ გავაცხადეთ პროტესტი საშინელ ომის წინააღმდეგ, როგორც კოოპერატორებმა. ჩვენ ასეთი პროტესტით გამოვედით როგორც სოციალისტურ პარტია, რაც ერთი და იგივეა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს პარტიას არასოდეს არ მიუცია ხმა სამხედრო ბიუჯეტისათვის. ეხლა კი მე მინდა შევიტყო, თუ რას შვრებოდენ ბელგიისა და საფრანგეთის კოოპერატივები, როცა ბლოკადა ათასობით უსპობდა სიცოცხლეს ავსტრიელ ბავშვებს?“ ასე დაამთავრა სიტყვა ორატორმა. მისი კითხვა უპასუხოთ დარჩა.

(უნდა დაუმატოთ, რომ გერმანელები მათ მოხსენებაში, რომელიც მათ კავშირის მთავარ გამგეობაში გავზავნეს კონგრესის წინ) ამბობენ, რომ ომის დროს ისეთი იყო მდგომარეობა, რომ მათ სხვანაირათ მოქცევა არ შეეძლოთ სხვა და სხვა მიზეზების გამო და თავს იმართლებენ. ასეთ თავის მართლებას არ ღებულობენ არც ფრანგები, არც ბელგიელები.

**აკოპიანმა** (სომხეთი) აღწერა კოოპერატიული მოძრაობა სომხეთში და დღევანდელი მისი მდგომარეობა. ომმა სრულიად გაანადგურა მათი ორგანიზაციები და განსაკუთრებით ოსმალეთის შემოსევამ მოუსპო მათ ყოველივე საშუალება კოოპერაციის აღდგენისა და მოქმედებისათვის. მის მოხსენებაში (რომელიც მან პრეზიდიუმს წარუდგინა და დაურიგა კონგრესის წევრებს) მოყავს ციფრები სხვადასხვა ადგილას კოოპერატივების შესახებ და მათ შორის... ახალ ქალაქის, ლორის და ბორჩალოს. (ალბათ ბ. მომხსენებელს გადაუწყვეტია, რომ ეს უკანასკნელნი სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში დარჩებიან!). აკოპიანი სთხოვს კავშირს დაეხმაროს მათ კავშირთ.

**ალბერტ ტომა** (საფრანგეთი) მოკლე სიტყვით იცავს მისი ამხანაგების პოზიციას და ამბობს, რომ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კოოპერაციათ არ შეუსრულებიათ ომის დროს მათი მოვალეობა და წინადადება შეაქვს გლაზგოვის რეზოლიუციის გადახედვისთვის. მისი წინადადება მიღებულია ხმის უმეტესობით. საერთაშორისო კავშირის ახალ წესდების შესამუშავებლად იქნება კომისია, რომელიც შესდგება ცენტრალურ კომიტეტის 5 წევრისაგან და ხუთიც კონგრესის მიერ არჩეულისაგან (შედის: საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, რუსეთი და ბელგია.)

**სუმბათაშვილი** (საქართველო) არდგენს თავის მოხსენებას საქართველოს კოოპერატივების ისტორიასა და მათ ეხლანდელ მდგომარეობაზე. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ 1918 წელში ჩვენ კოოპერატივებს ყოლია 654,845 წევრი, ისე რომ კავშირით უსარგებლია დაახლოვებით 2 მილიონ პირთ. ჩვენ კოოპერატივებს აღმზრდელი ხასიათიც აქვს მას აბადია სახალხო უნივერსიტეტი. —გორის მოულოდნელმა კატასტროფამ დიდი ზარალი მოუტანა საქართველოს კოოპერაციას. გორში დაიღუპა მისი დიდი სიმდიდრე. ამის გამო დელეგატი სთხოვს კონგრესს შეღავათ კრედიტის სახით.

კრება ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას მორალურს და ფინანსიურს. ფინანსიურათ მდგომარეობა ცუდი ყოფილა, რადგან ბევრი დახარჯულა და ცოტა შემოსულა, რადგან ომის დროს თითქმის არც ერთი ერი არ იხდიდა საწევრო ფულს.

ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით კონგრესი ანთავისუფლებს სერბეთს და ბელგიას, როგორც ომის დროს განსაკუთრებით დაზარალებულთ, იმ გადასახადისაგან, რომელიც მათ უნდა შემოეტანათ ომის დროის განმავლობაში.

**შ. ჟიდი** (საფრანგეთი) მოითხოვს განთავისუფლდეს აგრეთვე ავსტრია და უნგრეთი, რომელნიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან და დაპატიმრებულნი არიან, მაშინ, როცა სერბეთი, მაგ., გაიზარდა, გადიდდა. მაგრამ **უნგრეთის** წარმომადგენელი მადლობას უძღვნის ჟიდს და სთხოვს მოხსნას მისი წინადადება. მაშინ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ყველას შეუმსუბუქოს საწევრო გადასახადის შემოტანა, რადგან ვალიუტა ყოველგან დაცემულია და ზოგან ფულს სრულიად დაკარგული აქვს ღირებულება. გადაწყდა, რომ ეროვნული კოოპერატივი ძველ ვალს გადაიხდის ეროვნული ფულით, როგორც ეს ომამდის ხდებოდა ხოლმე, მხოლოდ ეს ფული უნდა შეტანილ იქმნას საერთაშორისო კავშირის სახელზე თავიანთ ქვეყნის ბანკში. რაც შეეხება მომავალში შემოსატან ფულს, კავშირი თანახმაა დაკარგოს იმის ნახევარი, რაც მას კურსით ერგება.

კავშირის მდივანი წინადადებას აძლევს კონგრესს, რომ მან მოითხოვოს, რომ ის საანკეტო კომისია, რომელიც რუსეთში უნდა წავიდეს, შევსებულ იქმნას კოოპერატივის საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლით. ის აცნობებს კრებას აგრეთვე, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა განიზრახა და ამისათვის კიდეც მოქმედებს და წინადადებით მიმართავს კრებას, რომ საერთაშორისო კოოპერაციის წარმომადგენელნი დაშვებულ იქნან საერთაშორისო შრომის ბიუროში, რომლის დირექტორი ალბერტ ტომა არის.

**ალბ. ტომა** ამბობს, რომ ის, როგორც კოოპერატორი, მხარს უჭერს მდივნის წინადადებას და კომიტეტის მოქმედებას, როგორც ბიუროს დირექტორი უხსნის კონგრესს, თუ რა ძნელი და გრძელი პროცედურაა გასავლელი, რომ ეს წინადადება იქნას მიღებული. საბოლოოთ კოოპერატივის ბიუროს წევრათ გახდომის საკითხი მხოლოდ შრომის საერთაშორისო კონფერენციის კომპეტენციას შეადგენს და მხოლოდ მას შეუძლია გადასწყვიტოს ის. მაგრამ ის ეცდება, რომ ბიუროს გამგეობის კრებაზე, რომელსაც ადგილი ექნება ქ. გენუაში, ივნისში, ეს საკითხი იქნას გაშუქებული და დასმული მომავალი კონფერენციის (1921 წელს) დღის წესრიგში. რაც შეეხება რუსეთის საანკეტო კომისიაში კოოპერატივის წარმომადგენლის შეყვანას, ეს შეიძლება ასე მოხდეს: მას აქვს უფლება ამ კომისიას შეუერთოს ერთი ვინმე ტეხნიკოსი და ამ ტეხნიკოსს ის აირჩევს კოოპერატიულ მოძრაობის წარმომადგენლისაგან.

ამის შემდეგ კონგრესი ღებულობს ჰუასონის რეზოლიუციას, სადაც ის იწონებს აღმასრულებელ კომიტეტის ნაბიჯს კოოპერატიულ კავშირის წარმომადგენლის შრომის საერთაშორისო ბიუროში შესაყვანათ. მიღებულია აგრეთვე წინადადება, რომ ცენტრ. კომიტეტი იკრიბებოდეს ორჯერ წელიწადში.

**უკრაინელების** წინადადება, რომ ისინი მიღებულ იქმნან როგორც ავტონომიური კოოპერატივები, გადაეცა გადასაწყვეტათ აღმასრულებელ კომიტეტს, ისე როგორც უნგრელების საჩივარი ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელნიც ავიწროებენ უნგრელებიდან შემდგარ კოოპერატივებს.

დაბოლოს, კრებამ მოისმინა ინგლისის მთავრობის წარმომადგენლის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წევრის ბ. უაისის განცხადება, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: „ჩვენ უნდა აღვადგინოთ კომერციული დამოკიდებულება მთელი ქვეყნის ხალხთან, მაგრამ ფულის ღირებულება ისე არის დაცემული სხვადასხვა სახელმწიფოში, რომ ეს გარემოება სრულ დეზორგანიზაციას ახდენს. ამისათვის ერთი გზა დაგვრჩენია და იმას უნდა დავადგეთ, ეს არის საქონლის პირდაპირი გაცვლა. ამ საქმეში კი კოოპერატივებმა პირველი ადგილი უნდა დაიჭირონ“.

შემდეგი კონგრესი დაინიშნა 1921 წლის აგვისტოში ქ. ჰაგაში.

კონგრესი, რომელიც გაგრძელდა სამი დღე, დაიხურა თავმჯდომარის, ღრმა მოხუცის მოქსველის ლამაზი სიტყვებით, რომელიც კრებამ ფეხზე ადგომით და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

**ანტონ ჟორჟოლიანი.**

ჟენევა, 16 აპრილი.

P. S. უნდა მოვიხსენიოთ, რომ კონგრესის მესამე დღეს მუშაობდა ორი საყურადღებო (დახურული) კომისია: ა) (en gros, **оптовый**) მაღაზიებისა და ბ) ომიდან დაზარალებულ კოოპერატივების დამხმარე „მოკავშირე“ მხარეთა. ამ უკანასკნელში საქართველოს დელეგატმა ბ. სუმბათაშვილმა აუხსნა კომისიას, თუ რა ზარალი მიაყენა ჩვენ კავშირთ როგორც ოსმალოს შემოსევამ, ისე ამ ბოლო დროს გორის უბედურებამ. რადგან კომისიას არ შეეძლო მოწის ძვრისაგან ზარალის. შესახებ რაიმე დასკვნამდი მისვლა, რადგან ეს არ შედიოდა მის პროგრამაში, ამისთვის ეს საკითხი შეიძლება მომავალში გადაწყდეს. რაც შეეხება ომის გამო განადგურებულ კავშირთ, მათ მიეცემა დახმარება. ე. ი. პროპორციალურათ დარიგდება 387 ათასი შვეიც. ფრანკი, ჯამი რომელიც კომისიას განკარგულებაშია. ამისთვის კი საჭიროა **ორი თვის განმავლობაში** წარედგინოს ლონდონში კოოპერატივის კავშირის მდივანს სრული დასაბუთებული მასალა, ზარალის რაოდენობა და ეროვნულ კოოპერატივის შეძლება-საშუალება. დახმარება მიეცემა: ბელგიას, პოლონეთს, ლიტვას, სერბიას, სომხეთს, საქართველოს და ჩეხო-სლოვაკიას.

ა. ჟ.

## „წითელ“ აზერბეიჯანში

**განჯის აჯანყების გარშემო.** განჯიდან ჩამოსული პირი იქაურ ამბების შესახებ შემდეგსატყობინებს გაზ. „გრუზია“-ს: განჯაში გლეხები და ასკერები აჯანყდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, ნაწილი წითელ არმიელებისა დაატყვევეს, ნაწილი გაიქცა განჯიდან. ძალაუფლება ასკერთა აფიცრობის ხელშია. მათ თავისიანები გამოყვეს ფრონტზე მყოფ ჯარებისაგან. საბჭოთა ზოგიერთ ნაწილების პოლონეთის ფრონტზე გადაყვანის შემდეგ ბოლშევიკები აზერბეიჯანში საგრძნობლათ დასუსტდნენ. ამით ისარგებლეს ბოლშევიკების მოსვლით უკმაყოფილო ელემენტებმა და განიზრახეს აჯანყების მოწყობა. აჯანყებისთვის მზადება დაიწყეს 15 მაისიდან, რომელიც ღამით 25—26 მაისს მოხდა შემდეგ პირობებში: ასკერებმა და გლეხებმა მოსთხოვეს თავიანთ აფიცრებს გამოემუშავებიათ გეგმა აჯანყებისათვის. ამ დროს განჯაში 2,000-მდე წითელ არმიელები იყვნენ,—ნაწილები მე-20 ბოლშევიკურ დივიზიონისა. ღამის 3 ს. გლეხებმა და ასკერებმა დაიჭირეს ტელეფონი, სადგური და ტელეგრაფი, განაიარაღეს ბოლშევიკური ნაწილები, დაატუსაღეს აფიცრობა და ბოლშევიკური „ჩრეზვიჩაიკა“. დილის 5 ს. სრულიად გაუქმებულ იქნა განჯაში ბოლშევიკური მთავრობა. ბოლშევიკურ ნაწილების „ნაშთები“ გაიქცენ სადგურისაკენ; მათ ზარბაზნების ცეცხლით მიერეკებოდენ ასკერები. ირგვლივ მდებარე სოფლებიდან ჩამოვიდენ განჯაში გლეხები დიდი თუ პატარა და დაიწყეს დარჩენილ ჯარის ნაწილების (ბოლშევიკების) ძარცვა-რბევა.

გაზ. „სლოვო“-ს შემდეგს ატყობინებენ: განჯას მოუახლოვდა შეიარაღებული თათართა რაზმი, რიცხვით რამოდენიმე ათასამდე, რომელსაც ცნობილი ყაჩაღი ლამბარი ხელმძღვანელობდა. რაზმმა ალყა შემოარტყა და დაიკავა ქალაქის მუსულმანური ნაწილი; შემდეგ მოულოდნელათ თავს დაესხა საბჭოთა ჯარების ერთ-ერთ ნაწილს, რიცხვით 500 კაცს, და სულ ამოსწყვიტა იგი. დაიჭირეს აგრეთვე განჯის ბოლშევიკური „ჩრეზვიჩაიკა“ და ზოგიერთი ბოლშევიკური მოღვაწენი, რომლებიც იქვე დახვრიტეს. საბჭოთა სარდლობის განკარგულებით განჯისაკენ გამოიწვიეს ბოლშევიკური ყველა ძალები. უკანასკნელები ზარბაზნებიდან ესვრიან განჯას, განსაკუთრებით მის მუსულმანურ ნაწილს. მოვიდა ერთ-ერთი ჯავშნოსანიც. გაზეთი დასძენს: დამატებითი ფრიად სარწმუნო ცნობების თანახმათ ზემოთ მოყვანილი ცნობები აჯანყების შესახებ მართლდება. ამ აჯანყებას ბოლშევიკები „ზეგებ-მუსავატების“ აჯანყებად ნათლავენ. აჯანყებულები პირველად იმარჯვებდნენ, მაგრამ მოსულ საბჭოთა ჯარების დახმარებით აჯანყება ჩაქრობილ იქნა. ქალაქში აღდგენილია საბჭოთა მთავრობის ძალა-უფლება.

## ფრონტიდან

27 მაისს მოწინავე ხაზზედ გვეწვია დამფუძნებელი კრების წევრი ჩიტო შარაშიძე რამოდენიმე ამხანაგებთან ერთად და მოგვიტანა მრავალი საჩუქრები,—გამოგზავნილი სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

საჩუქრებში სხვათაშორის, ჩადებული იყო პატარა მოკითხვის ბარათები, მოწაფეების მიერ გამოგზავნილი. წერილების კითხვა დიდ სიამოვნებას იწვევდა გვარდიელებში.

პატარა მოქალაქენი გვილოცავდენ 26 მაისის დღესასწაულს, გვისურვებდენ გამარჯვებას მტერთან ბრძოლაში და მშვიდობით დაბრუნებას.

საჩუქრებმა დიდი სიამოვნება გამოიწვია გვარდიელებში და გაორკეცებით აგრძნობინა ყველას თავისი მოვალეობა თავისუფალ სამშობლოს წინაშე.

დავრწმუნდით, რომ ჩვენ არა ვართ მარტო „ვინტოვკის“ ამარა, არამედ—ჩვენთან არის მთელი დემოკრატიის დახმარება.

ამის შემდეგ გამარჯვება უზრუნველყოფილა. ჩვენ არ გვქონდა საშუალება შეკრებისა, რომ მადლობა გადაგვეხადა ძვირფასი სტუმრებისათვის. ამიტომ ახლა გაზეთის საშუალებით № რაიონის სახალხო გვარდიელები დიდ მადლობას ვწირავთ იმ მოქალაქეთ, რომლებიც დაეხმარენ ფრონტს. აგრეთვე ჩიტო შარაშიძეს, რომელმაც საჩუქარები მოგვიტანა და გვინახულა.

სალამი ნაცნობ-მეგობრებსა და ამხანაგებს!

ჩვენ ყველანი კარგათ ვართ!

მონდობილობით **ს. ბუკია.**

---

ამხ. რედაქტორო! ჩვენ, საგანგებო ასეულის გვარდიელები, რომლებიც ვიმყოფებით ნეიტრალურ ზონაში დროებითი შერიგების პირობების ასრულების თვალყურის სადევნებლად ბოლშევიკების ასეთივე ასეულთან ერთად, და რომლებიც ძალიან ახლოს გავეცანით ბოლშევიკურ ლაშქარს, გთხოვთ მოგვითავსოთ ჩვენს გაზეთში შემდეგი;

დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა იმ ბოლშევიკ ქართველებს, რომლებსაც გულწრფელად სწამდათ და სწამთ დღესაც რუსეთიდან მომავალი ლაშქრის ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი სიძლიერე, სწამდათ და სწამთ, რომ ეს ლაშქარი სადაც შევა შეიტანს სოციალიზმის სულს,—ჩამოვიდნენ სოფელ შიხილოში და თავის თვალით ნახონ თუ რას წარმოადგენს ეს ლაშქარი, ვისგან შესდგება ის, ვინ მოუძღვის მათ წინ, რა მოუტანეს მათ აზერბეიჯანის მშრომელ ხალხს და რა მიზნით მოდიოდნენ ისინი თფილისში.

ვთხოვთ აგრეთვე ჩვენს მთავარ შტაბს და ჩვენს მთავრობას დაეხმარონ. მსურველ ბოლშევიკებს აქ, ჩვენთან, ნეიტრალურ ზონაში ჩამოსვლაში.

ასეულის მონდობილობით გვარდიელები: **რ. კერესელიძე, ი. ინწკირველი, ა. ხარაიძე, დუნდუა, ს. ბუკია, გ. ოგანოვი, დ. კიასაშვილი, კ. ზაქარიაძე, ი. ყანდარელი.**

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 ივნისი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დაბა კოზიანი და მის სამხრეთით მდებარე სოფლები. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერს წაართვეს რამოდენიმე სოფელი, რომელიც წინა დღით დავკარგეთ. დაბა ფორიხოვის რაიონში ჩვენი ჯარები ხელახლა გადავიდნენ დვინაზე და რამოდენიმე სოფელი დაიკავეს. ბორისოვის რაიონში ჩვენები გადავიდნენ ბერეზინაზე. ბრძოლა გრძელდება. ქლობინ-მოზირის მიმართულებით რკინის გზის რაიონში სასტიკი ბრძოლებია 54 ვერსზე... (გამოტოვებულია)... რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლის შემდეგ მტრის უმთავრესი ძალების მოწოლის გამო რამდენიმეთ უკან დაიხიეს ახალ პოზიციებზე.

**ლიონის რადიო სადგურის ცნობები.**

(ინგლისურ ენაზე)

**ექს-ხელმწიფე კარლოსის წერილი.**

ექს-ხელმწიფე კარლმა 1918 წ. ოქტომბერში გერმანიის ექს-კაიზერს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: ჩემთვის ძალიან ძნელია, მაგრამ ვალდებულათ ვსთვლი თავს გაცნობოთ, რომ ჩემს ხალხს არ შეუძლია ომის არც მხარის დაჭერა და არც გაგრძელება. მე არა მაქვს მორალური უფლება ამ სურვილს წინააღმდეგ წავიდე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასურველი გამოსავლის იმედი არ არის. ყველა მატერიალური და მორალური საშუალება ომის გასაგრძელებლად უკვე გამოვიყენეთ და ჩემი სინიდისი მიკრძალავს უსარგებლოთ განვაგრძო სისხლის ღვრა. ამ ორი ერის კავშირისადმი ერთგულება მოვალეობაზე წინ უნდა იდგეს. ამიტომ მე გაფრთხილებთ თქვენ ჩემს შეუცვლელ გადაწყვეტილებაზე დროებითი და სეპარატიული ზავის დაუყონებლივ შეკვრის შესახებ.

**ბოლშევიზმი უნგრეთში არ დაბრუნდება.**

(დასაწყისი არ მივიღია) ბოლშევიზმი უნგრეთში არ დაბრუნდება, მაგრამ იგი სანამ მოისპობოდეს გავრცელდება ჩინეთში და დაემუქრება იაპონიას, ამას ხელს შეუწყობს უცხოელთა ჯარის შესევა.

**რუსი ტყვეების დაბრუნება გერმანიიდან.**

ჟენევიდან იუწყებიან: გერმანიაში რუსის ტყვეების დაბრუნების შესახებ კონვენციის რატიფიკაცია ეხლახან მოახდინა ბერლინის და მოსკოვის მთავრობამ. ჯარისკაცები ლიტვაზე გაივლიან. საკითხი უნგრეთის ტყვეების რუსეთში დაბრუნების შესახებ ჯერ არ გამორკვეულა, მაგრამ ხმა დადის, რომ უნგრეთის ყოფილი პრემიერი გუსსარი მალე წავა ამერიკაში, რათა ტყვეების გადაყვანა მოაწყოს ციმბირზეთ.

**მცხოვრებთა გასამრავლებლად.**

რამდენიმე დღის წინად საფრანგეთის მთავრობამ დაარსა ახალი მედალი საფრანგეთის დედებისათვის, რომელთაც დიდი შთამომავლობა ეყოლება. სახელმწიფოს მხრივ მადლობის გამოცხადების ნიშნათ მედალით დააჯილდოვებენ მხოლოდ იმ დედებს, რომლებიც მორალურად და ფიზიკურად აღზრდიან თავის შვილებს და შთააგონებენ მათ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. 5 წელზე არა ნაკლებ 5 ცოცხალი შვილის დედა მიიღებს—ბრინჯაოს მედალს. 8 შვილის დედა—ვერცხლისას და 10 შვილისა კი—ოქროს მედალს. ეს ზომა მხოლოდ მთავრობის კომპანიის ნაწილია ერის გადაგვარების წინააღმდეგ და მცხოვრებთა რიცხვის გასამრავლებლად.

**კონფლიქტი.**

პარიზში ახალი სათეატრო კონფლიქტი მოხდა. ეს არის შედეგი შექმნილ კავშირისა, რომელიც შრომის ეროვნულ ფედერაციის განყოფილებათ ითვლება. პარიზის მსახიობათა დიდი ნაწილი, რომელნიც ამ პროფესიონალურ კავშირისა და ფედერაციის წევრები არიან, ხშირად მიმართავენ ხოლმე თეატრის ადმინისტრაციას, მაგრამ მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ამას წინეთ ორი ცნობილი მსახიობი ქალი ფედერაციის მოთხოვნილებით იძულებული იყვნენ თავი დაენებებიათ სცენისათვის, რადგანაც ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა ფედერაციის მოთხოვნილება. ზოგი მსახიობი ამტკიცებს, რომ თუ ისინი ვალდებული არიან შეუერთდენ ამ კავშირს, მათ უნდა ქონდეთ უფლება იმგვარ კავშირში შესვლისა, რომელიც ფედერაციის ფილიალი არ იქნება.

**შაქრის რეკვიზიცია არ მოხდება.**

სასურსათო სამინისტრომ განაცხადა: შაქრის რეკვიზიცია არ მოხდება, რადგან მომავალში დიდძალ შაქრის დამზადებას მოელიან.

**პრეზიდენტი კარგად არის.**

რესპუბლიკის პრეზიდენტი ეხლა უკვე კარგად არის.

**ირლანდიის საქმეების გამო.**

ირლანდიის საქმეების შესახებ სათათბიროდ სამშაბათს ლონდონში შესდგება მინისტრთა საბჭოს სხდომა ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით, რომელიც ამისთვის კობსამიდან დაბრუნდა. სხდომას დაესწრება მარშალი ფრენჩი და სერი ხატარი გრინუდა, რომლებიც ამ სხდომაზე საჩქაროთ გამოიწვიეს დუბლინიდან.

**სტიქიური უბედურება ინგლისში.**

გუშინ ლინკოლნშირისა და ლანკაშირის საგრაფოში დიდი კატასტროფა მოხდა. დიდი გრიგალის გამო, რომელმაც გამოიწვია წყლების ადიდება, დაიღუპა მრავალი სოფლები და დიდძალი მცხოვრებნი.

**ვინ მოაწერს ხელს საზავო ხელშეკრულობას?**

ბუდაპეშტიდან იუწყებიან: უნგრეთის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი,—თუ მთავრობის წევრთა შორის ვინ მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულებას. გადასწყდა, რომ ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სოორი ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ გაიგზავნოს.

## ახალი ამბები

**დღეს,** საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **თფილისიდან აზერბეიჯანის ფრონტზე** დღეს მიემგზავრებიან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების ინსტრუქტორი და სამხედრო სამინისტროს კულტურული სექციის მთავარი ხელმძღვანელი, რომელთაც თან მიაქვთ მოძრავი კინემატოგრაფი ფრონტზე მყოფ ჯარისა და გვარდიისათვის სურათების საჩვენებლათ. აჩვენებენ საქართველოს პირველი და მეორე წლების თავზე დამოუკიდებლობის დღესასწაულს, გვარდიის დღეს, დამფუძნებელ კრების გახსნას და სხვა საინტერესო სურათებს.

◆ **საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა** ცენტრალურ საბჭოს გაფართოებული თათბირი დანიშნულია პარასკევს, 4 ივნისს. თათბირი გაიხსნება მუშათა სასახლეში საღამოს სრულ 5 საათზე. თათბირს დაესწრებიან საბჭოს წევრები, ადგილობრივი საბჭოების თითო წარმომადგენელი და წარმომადგენლები იმ საბჭოებისა, რომლებიც დაარსებულია პირველ ყრილობის შემდეგ. თათბირის მუშაობა განსაზღვრულია გაზეთებში უკვე გამოქვეყნებულ დღის წესრიგით.

◆ **ფასანაურიდან** [illegible] ნებიან, რომ საქართ[illegible] გზაზე, მე-86 ვერსზე დიდი წვიმა-ნიაღვრისაგან გზა გაფუჭებულია, რის გამოც მიმოსვლა შეწყვეტილია. მიღებულია სასწრაფო ზომები გაფუჭებული გზის აღსადგენათ.

◆ **ყველის და ერბოს ქარხნების მიღების შესახებ.** ამ დღეებში ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნდა ის კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ერბოს და ყველის ქარხნების მიღება. კომისიამ დაათვალიერა ეს ქარხნები, გაეცნო მათ მდგომარეობას, მოისმინა მექარხნეების საჩივარ-განცხადებანი, პირობით გამოუყო ზოგიერთს მათგანს ნორმები, ჩამოუჭრა დროებით ზედმეტი სივრცის საძოვარი ადგილები მკვიდრთა დასაკმაყოფილებლათ და შემდეგ დაბრუნდა თფილისში. კომისიის მუშაობის შეწყვეტა გამოიწვია ორმა გარემოებამ: ერთი გამუდმებულმა წვიმებმა, რაც ხელს უშლის მიწის მზომელს მინდვრათ სამუშაოთ და მეორეთ ადგილობრივ აღიძრა ბევრი ისეთი კითხვები, რის გამორკვევა და ახალი ინსტრუქციების მიღება საჭირო შეიქნა თვით სამინისტროსაგან. ქარხნების მიღების საქმის დასამთავრებლათ კომისია აპირებს ხელ ახლა გაემგზავროს თრიალეთის რაიონში, დაახლოვებით ივნისის ბოლო რიცხვებში.

◆ **ადელხანოვის ქარხანაში.** ოთხშაბათს, 2 ივნისს, ნაშუადღევს 2 საათზე, ადელხანოვის აქც. სახ. მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე (ვორონცოვის ქუჩა, 96) დანიშნულია ამავე საზოგადოების მუშათა და მოსამსახურეთა მომხმარებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. თუ კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა, მეორე კრება დაინიშნება მეორე დღეს, 3 ივნისს, იმავე დროს და მიუხედავად წევრთა რაოდენობისა, კრება ჩაითვლება კანონიერად. დღის წესრიგშია: 1) მოხსენება კოოპერატივის მდგომარეობაზე, 2) ანგარიშების დამტკიცება და 3) მიმდინარე კითხვები.

◆ **ქრთამი.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო მე-5 კომისარიატის უმცროსი მილიციონერი სერგო გიორგის ძე ბაგატურია, რომელსაც აუღია ალექსანდრე მოსეს ძე ბოგადისაგან 250 მან. ქრთამი.

◆ **კახეთის რკინის გზის გაფუჭება.** 31 მაისს კახეთის მატარებელი ღამის 2 საათზე ჩამოვიდა თფილისში. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩალაუბნის ქედზე სეტყვას და დიდ ნიაღვარს გზა საგრძნობ მანძილზე გაუფუჭებია, შპალები წაულეკია. მგზავრები გადმოსულან და მატარებელს ისე გამოუვლია ცარიელს. ერთ ალაგას ერთი ვაგონი გადავარდნილა კიდეც ლიანდაგიდან, მაგრამ შემდეგ ისევ დაუყენებიათ. თითქმის ყველა სადგურებიდან გაიწვიეს მუშები გზის შესაკეთებლად.

◆ **დამფუძნებელ კრების ადგილობრივ მართველობის და თვითმართველობის კომისიის** პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარეთ მ. რუსია, თავმჯდომარის ამხანაგათ—ს. ფირცხალავა, მდივნათ—გაბრ. ცისკარაშვილი.

◆ **ქურდობა.** სისხლის სამართლის მილიციას 28 მაისს მიკირტიჩ ტეროგანეზოვმა განუცხადა, რომ მისმა ორმა ქალმა აიკანუშამ და შუშანიკმა და ვაჟმა ვრამშაპუხმა მოიპარეს სახლიდან ნივთები 150,000 მ. ღირებული. სისხლის სამართლის მილიციის აგენტების მიერ ნივთები აღმოჩენილ იქნა.

◆ ვერა პეტრეს ასულმა სამსონოვმა სისხლის სამართლის მილიციას განუცხადა, რომ მას სახლიდან მოჰპარეს 500,000 მან. ღირებული 12 ცალი ხალები. აღმოჩნდა, რომ ხალები მოეპარა მე-2 კომისარიატის უფროს მილიციონერ ანდრია ჯორჯიშვილს, რომელსაც თავის ბიძისათვის. მიუცია. ხალები დაუბრუნეს პატრონს. ა. ჯორჯიშვილი შეპყრობილია. მისი საქმე გადაეცა თფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს.

◆ **მეოთხე რაიონული** კოლექტივი, ხუთშაბათს, 3 ივნისს, საღ. 6 ს. ვერის მუშათა კლუბში იწვევს რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებას, რომელზედაც არჩეული იქნება პარტიული ყრილობის დელეგატები და განხილული იქნება სხვა კითხვები. რადგანაც ეს კრება მეორეთ არის მოწვეული, ამისთვის კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

◆ **„ჯეჯილი.“** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მარტის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია შ. მღვიმელის ლექსი, ან. წერეთლის მოთხრობა, დ. კასრაძის მოთხრობა და სხ. ჟურნალი ჩვეულებრივად კარგ ქაღალდზე არის დაბეჭდილი და ლამაზად არის გამოცემული.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, 2 ივნისს, საღამოს 7 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს სხდომა.

## სავალდებულო დადგენილება

ქ. თფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ გუბერნატორისა.

ჩემდამი რწმუნებულ საგენერალგუბერნატოროში მცხოვრები ყველა მამრობითი სქესის მოქალაქე მოვალეა 2 კვირის განმავლობაში, დღიდან ამ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა, სამხედრო უფროსისაგან აიღოს მოწმობა სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ.

ამ დადგენილების შეუსრულებლობაში შენიშნული პირნი დაპატიმრებული იქნებიან 3 თვით, ან 25 ათასი მანეთით დაჯარიმებულნი.

გენ.-გუბერნატორი **კ. სულაქველიძე.**

ქ. თფილისი.

1 ივნისი, 1920 წ.

# საქ. ს.-დ. მ. პ. ორგ. გასული წლის მოღვაწეობის მოკლე ანგარიში

1) **ქ. თფილისის ორგანიზაცია:** ორგანიზაციაში ირიცხება—8,000 პარტიის წევრი. არის 7 რაიონული კოლექტივი (ტერიტორიალური), მცირე კოლექტივები, აგრეთვე ქალთა ორგანიზაციები. დაწვრილებით მოღვაწეობის ანგარიში გამოქვეყნებული იყო პარტიულ ორგანოში. ცეკაში შეტანილი აქვს პროცენტები გადასახადით—4,000 მ. და საარჩევნო ფონდში—4,000 მან.

2) **თფილისის სამაზრო კ-ტი:** პარტიული მუშაობა და ორგანიზაციები სასურველ დონეზედ არის მოწყობილი. თითქმის ყველა საზოგადოებაში არის პარტიული ორგანიზაცია. სულ ირიცხება—3,357 წევრი. პირველ ხანებში საწევრო გადასახადი ძნელად შემოდიოდა. ბოლოს ეს საქმე მოწესრიგდა და გადასახადი შეაქვთ. მთავარ საარსებო წყაროს შეადგენდა ერთდროული შემოწირულება ორგანიზაციებიდან, წარმოდგენებიდან და სხვ.

3) **დუშეთის სამაზრო კ-ტი:** მაზრაში ითვლება 527 წევრი. ორგანიზაციამ მოაწყო პარტიული კლუბი. მოეწყო აგრეთვე ორგანიზაციები ხევის რამოდენიმე სოფლებში. ბევრგან ორგანიზაციები შეკავშირებულნი არიან თემის ფარგლებში კოლექტივის სახით. სამაზრო კ—ტი თავის წევრებს აწვდიდა გაზეთებს, ბროშიურებს და პარტიულ წიგნაკებს. სამაზრო კ—ტის 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი იკრიბებოდა სისტემატიურად ყოველგვარ კითხვების გადასაჭრელად. აქტიური მონაწილეობას იღებდენ ყველა საარჩევნო კომპანიებში. ორგანიზაციის მხურვალე მონაწილეობით მაზრაში გვარდია მოეწყო და გაძლიერდა. ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

4) **გორის სამაზრო კ—ტი:** ორგანიზაცია აერთებს—3,221 პარტიის წევრს. კომიტეტმა ჩაატარა მაზრაში რამდენიმე საარჩევნო კამპანია—დამფ. კრების, ერობათა წვრილი ერთეულების, ქალაქების და სხ. გორის კ—ტის ინიციატივით ქალაქში მოეწყო სახალხო უნივერსიტეტი, სადაც, სხვათა შორის, კითხულობდენ ლექციებს ეკონომიურ და სოციალურ მეცნიერებიდან. ცეკაში შეიტანეს გადასახადი—1884 მანეთი.

5) **თიანეთის სამაზრო კ—ტი:** მაზრა კულტურული ძალებით სუსტია. ამის გამო პარტიული მუშაობის შესაფერ დონეზე დაყენება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მაზრაში რამოდენიმე რაიონული კოლექტივი არსებობს. ორგანიზაცია აერთებს—152 პარტიის წევრს. ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

6) **შორაპნის სამაზრო კ—ტი:** ორგანიზაციაში ირიცხება—2,101 წევრი. მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ დამფ. კრების და თემების არჩევნებში. კ—ტი ხელმძღვანელობს პარტ. ორგანიზაციებს, თვითმართველობებს და პროფ. კავშირებს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კოოპერატიულ მოძრაობას. მაზრაში არის რამოდენიმე სამეცადინო წრე. ცეკაში არავითარი გადასახადი არ შეუტანიათ.

7) **ფოთის კომ—ტი:** ორგანიზაცია აერთებს—1,400 წევრს. ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1918 წლ. დასაწყის მოაწყო ტერიტორიალური საუბნო პარტიული ორგანიზაციები. თვითეულ უბანში თვეში ერთხელ და ზოგჯერ ორხელაც იმართება უბნის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც კეთდება მოხსენებები მომენტზე და სხვა მიმდინარე კითხვებზე. დაარსებული იყო პარტიული სამეცადინო წრე, სადაც ესწრებოდა მრავალი ამხანაგები. კომიტეტს აქვს პარტიული კლუბი. ცეკაში შეტანილი აქვთ გადასახადი 400 მან. და საარჩევნო ფონდი—300 მან.

8) **ზუგდიდის სამაზრო კ—ტი:** ბოლშევიკური ანარქიის დღეებში თითქმის სულ მოიშალა ორგანიზაციული მუშაობა. ამხანაგები უნდებოდენ შინაურ ანარქიასთან და გარეშე მტერთან ბრძოლას. დამფ. კრების არჩევნების დროს ჩვენი ამხანაგები ენერგიულ მუშაობას შეუდგენ და კიდევაც ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ამხანაგების ხელმძღვანელობით საძირკველი ჩაეყარა სახალხო გვარდიას. ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით კოოპერატიული მოძრაობა ძლიერდება. წვრილ ერთეულთა არჩევნებში ჩვენმა პარტიამ გაიმარჯვა. დღეს ზუგდიდის სამაზრო ორგანიზაცია აერთებს 2,000 პარტიის წევრს. არის რეგისტრაცია აუარებელ თანამგრძნობთა. ამხანაგების ხელმძღვანელობით მაზრაში არსებობს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ. ცეკადან დახმარება მიქონდათ.

9) **სენაკის სამაზრო კ-ტი:** პარტიის წევრი მაზრაში — 3,000. პარტიული ორგანიზაცია 26 თემში არსებობს. მოწყობილია პროპაგანდისტთა კოლეგია სისტემატიური მუშაობის საწარმოებლათ. საარჩევნო კომპანიებს ორგანიზაცია დიდი ენერგიით აწარმოებს. ცეკაში შეიტანეს გადასახადი—3,436 მან.

10) **სოხუმის საოლქო კ-ტი:** პარტიის წევრთა რიცხვი: სოხუმში—180, გაგრაში—130 წევრი, ოჩამჩირეში—100 წევრი; სამურზაყანოში—1200 წევრი. სოხუმში გამოდის პარტიული გაზეთი რუსულ ენაზე „ნაშე სლოვო". კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევდა ფრაქციებს ერობებში, ქალაქის თვითმართველობაში და აფხაზეთის სახალხო საბჭოში. ქალაქ სოხუმში გამართული ქონდა კვირაობით პარტიულ წევრებში მეცადინეობა. საოლქო კ—ტს არავითარი მუდმივი სახსარი არ ქონდა და მისი შემოსავლის წყარო შემთხვევითი იყო (საღამოები, წარმოდგენები და სხვ.). ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში ქალ სოხუმის კომიტეტი იმყოფებოდა.

11) **გურიის სამაზრო კ—ტი:** ორგანიზაცია აერთებს 31 პარტიულ რაიონს (საკოლექტივოს). მაზრაში არ არის სოფელი, რომელშიაც პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდეს. 1920 წ. 1-ლ იანვარს ორგანიზაციაში ითვლება 8454 წევრი. კომიტეტის მორიგი სხდომები ხდებოდა ორ თვეში ერთხელ, პრეზიდიუმისა კვირაში ერთხელ. კოლექტივები 15 დღეში ერთხელ იკრიბებოდენ. კომიტეტის მოწოდების თანახმად ზოგ რაიონში შესდგა ადგილობრივ ძალებიდან მომხსენებელთა კოლეგიები, რომელთაც დავალებული აქვთ სისტემატიურად კვირა-უქმე დღეებში გაუკეთონ ხალხს მოხსენება დამფ. კრებისა, ცენტ. მთავრობისა და ერობის მოღვაწეობის შესახებ. ცეკას მისცენ პროც. გადასახადი—2,000 მ., საარჩევნო ფონდის—3,000 მან. ცეკა დაეხმარება ორგანიზაციას—10,000 მან.

12) **ბათომის ორგანიზაცია:** ბათომის დაცემის შემდეგ პარტიული მუშაობა ქალაქში ერთხანად შეწყდა. ოსმალთა ბატონობის დროს პარტიის წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა—20. ინგლისელების ოკუპაციის შემდეგ სურათი შეიცვალა. დაბრუნდენ ყველა ძველი პარტიული მუშაკები და შეუდგენ თავის საქმეს. დაარსდა ცეხები ქალაქში და გაჩაღდა პარტიული მუშაობა. ამ ჟამად პარტიაში ირიცხება—700-მდე პარტიის წევრი.

**არ წარმოუდგენიათ გასული წლის მოღვაწეობის ანგარიში.**

13) **ქუთაისის სამაზრო კ-ტი:** ორგანიზაცია აერთებს—7717 პარტიის წევრს. ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

14) **ლეჩხუმის სამაზრო კ-ტი:** ორგანიზაციაში ითვლება—1000 პარტ. წევრი. ცეკა დახმარებას აძლევდა ფულით ზემოსვანეთის ორგანიზაციისათვის. ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

15) **რაჭის სამაზრო კ—ტი:** ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

16) **ბორჩალოს სამაზრო კ—ტი:** პარტიის წევრთა რიცხვი აღწევს ოთხასამდე. პარტიული ორგანიზაცია რამოდენიმე საზოგადოებაში მოეწყო. პარტიული გადასახადი ცეკაში არ შეუტანიათ, (მხოლოთ ალავერდის ორგანიზაციას აქვს შეტანილი 49 მან. 50 კ. ცეკაში).

17) **ახალციხის სამაზრო კ—ტი:** ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

18) **ახალქალაქის სამაზრო კ—ტი:** ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

19) **თელავის სამაზრო კ-ტი:** მიღებულია მხოლოდ ქალაქ თელავის ორგანიზაციის წევრთა სია, რომელიც 152-ს უდრის. ცეკაში გადასახადი არ შემოუტანიათ.

20) **სიღნაღის სამაზრო კ-ტი:** წინეთ მაზრაში პარტიული მუშაობა ძალიან შესუსტებული იყო. ამხანაგების ხელმძღვანელობით გვარდიაში ასწავლიდენ წერა-კითხვას და ეწეოდენ სხვა კულტურულ მუშაობას. ცეკაში გადასახადი არ შეუტანიათ.

ს.-დ. ცენტ. კომიტ. **მდივანი.**

# სალამი სამშობლოს დამცველთ

**ფოთი.** ფოთის ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის კანტორის მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ 30 მაისს დაადგინა სალამი უძღვნას საქართველოს საამაყო შვილთ, რომელთა მეოხებით ჩვენი სამშობლო ბევრჯერ გადარჩა დარბევას. უსურვებს კვლავინდებურათ სწორი გზით მსვლელობას და ფიცსა სდებს, მათთან იყვეს ჭირსა და ლხინში. ვაშა მთავრობას, რომელმაც შესძლო შენება ნგრევის ხანაში. ნიშნად სამშობლოს დამცველთადმი ღრმა პატივისცემის და სიყვარულისა, ჩვენი მცირედი ულუფიდან ვსდებთ მათ სასარგებლოთ ერთი დღის ჯამაგირს იმ იმედით, რომ კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების. ვაშა საქართველოს შეიარაღებულ ძალას და მის სარდლობას.

სარაიონო გამგეობის თავმჯდომარე **ირაკლი შოთაძე,** მდივანი **ხელიძე.**

# მთავრობაში

**25 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:**

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმისა მიღებულ იქნას ერთი წლით და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

— თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. ივლისის 11-ის კანონისა ალექსანდრე ივანეს ძე მანთაშევს ჩამოერთვას თფილისის სამაზრო ერობის საჭიროებისათვის მისი მამული მდებარე ქ. თფილისის მესამე უბანში რუსთაველის და გიმნაზიის ქუჩების კუთხეში № 6, რომელიც ჩაწერილია ქალაქის გამგეობის წიგნში № 397 წლისა აღნიშნულია 1151 მუხლში და შეფასებულია 276,684 მანეთად. აღნიშნული მამული გადაეცეს საკუთრებად თფილისის სამაზრო ერობას, რომელმაც მამულის საფასურად ა-ნ მანთაშევისათვის მისაცემად გადასდო უკანასკნელ შეფასების მიხედვით 276,684 მ.

— დაევალოს მომარაგების სამინისტროს რაჭის მაზრის მცხოვრებთ მიაწოდოს სურსათი ნაკლებ ფასებში, ვინემ მას ადგილობრივ მიტანილი დაუჯდება. დასავლეთ საქართველოს ქალაქებს, თემებს და ერობებს უფლება მიეცეთ თავისუფლად შეიძინონ და გამოიტანონ აფხაზეთიდან მათთვის საჭირო სიმინდი. ყველა დანარჩენ ორგანიზაციათა და პირთათვის ძალაში დარჩეს დღევანდლამდე არსებული წესები.

— რესპუბლიკის ერობათა შორის სესხის განაწილების საკითხი მთავრობაში განხილულ იქნას მას შემდეგ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს ერობებისაგან გამოთხოვნილ მასალებს და ის წინასწარ განხილულ იქნება კომისიაში შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებისა და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

— ალექსანდრე იაკობის ძე გოკიელოვს ჩამოერთვას გომის კოოპერატივთა კავშირის საკუთრებად მამული, ყველა მასზე აგებულ შენობებით, მდებარე სახაზინო რკინის გზების სადგურ „გომთან"—მიწა დაახლოვებით 5000 ოთხკ. საჟენი. აღნიშნულ მამულის შეფასება, თანახმად დამფუძნებელ კრების 1919 წლის ივლისის 11 კანონისა, მოხდეს სასამართლოს წესით.

— 1) შრომის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საქონლის მისაწოდებლად მთავრობის განკარგულებაში 120 მილ. მან. გაღების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. 2) შრომის სამინისტრომ წარუდგინოს დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას საჭირო საბუთები და ანგარიშები.

# ნოე ჩხიკვაძის საფლავზე

Кто славѣ дастъ торжественный отвѣтъ?
Кто подвигъ наградитъ вѣнками!
Кто правитъ небомъ и Богами?
Поэтъ! Поэтъ!

В. Гете.

ვით ქარიშხალი ზღვის უდაბნოში,
გრიგალი ცამდე თავ აზიდული.
აენთო—ჩაჰქრა საუკუნოში,
დადუმდა მისი ლამაზი გული!

* * *

ბევრმა სთქვა,—იგი წუთის ჟინია,
უსაქმო სიტყვა, ფუჭი ზღაპარი;
ჰაობიანი ტბის სისინია,—
სჯობს მორიდებით დავხუროთ კარი...

* * *

ის ამოქუხდა ბრბოს წიაღიდან
ვით მეხტატანი ტანჯვის და ოხვრის,—
თუ კერპი იყო თვით სიბაღლიდან
ჰაბუკს რა გასტეხს, ჰაბუკს რა მოხრის!

* * *

ხიდა მარტომა უზომო ხვედრი,
ცხოვრების მწვავე სუსხი და ყინვა.
იპოვა მტრისთვის წინ დასახვედრი,
გასძლო მეგობრის ჩუმი დაცინვა...

* * *

აწმყოს შხამ-გესლათ გულში ჩაჰკვროდა.
შიშის უზავო, დაუდევარი;
გიჟი ოცნებით მუდამ დაჰქროდა
მომავლის ცაზე ვით მეტეორი...

* * *

და ეხლა, როცა საუბედუროდ
დაფნის გვირგვინში ჩაუსვამს კუბო,—
არ ვიცი ვისლა ვუსაყვედურო,
ან ვის ნუგეშათ ცრემლი ვაგუბო!..

**ვ. ტუქსიშვილი.**

# ბათომი

საქართველოს რესპუბლიკის ბათომის საკონსულოსთან არსებულ სამხედრო ატაშესთან დღემდე ჩაეწერა 150 ახლად გასაწვევი ჯარისკაცი, ექიმი და, აფიცრები—57, სწარმოებს მოქალაქეთა რეგისტრაცია. ჩაეწერა ხნოვანებით 43 წლამდე 1600 კაცი. საკონსულოსთან დიდძალი ხალხია თავმოყრილი ჩასაწერათ და უცდიან რიგს. საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია გრძელდება.

— 29 მაისიდან თფილისის მატარებელი ბათომში ჩამოვა დღის პირველ საათზე.

— ამას წინად ეტაპის კომენდანტის კანცელარიიდან მოიპარეს საწერი მანქანა. სისხლის სამართლის მილიციამ მანქანა აღმოაჩინა „მოხალისეთა" ჯარის აფიცერ პოდპორუჩიკ ალექსანდრე ბონდარევთან. აღნიშნული აფიცერი დაატუსაღეს.

— 26 მაისს, საღამოს 9 ს. მილიციონერმა დაატუსაღა ეგნატე ტეროსიანცი, რომელსაც ადგილობრივი მთავრობის შემოწმებული პასპორტი არ ჰქონდა.

# უცხოეთი

**ს ო მ ხ ე თ ი.**

**თავშესაფარის გადატანა ერევანში.** სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრმა შეატყობინა თავის წარმომადგენელს თფილისში, რომ 1 ივნისიდან თფილისში არსებულ სომხების თავშესაფარებს ესპობათ სურსათ-სანოვაგის გზავნა. მინისტრი წინადადებას აძლევს თავის წარმომადგენელს, რათა მან მოაწყოს აღნიშნულ თავშესაფარების ერევანში გადატანა.

**მოსამსახურეთა აღწერა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარით მიმართა ყველა სამინისტროებს, რომლითაც მოითხოვს წარმოდგენილ იქნეს სია ერევანში მყოფ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეებისა. სიაში აღნიშნული უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა პარტიული რწმენაც.

**მოწოდება ჯარსა და მოსამსახურეებს.** მინისტრ-თავმჯდომარემ ოგანჯანიანმა, სამხედრო მინისტრმა ტერ-მინასიანმა და მთავარ-სარდალმა ნაზარბეგოვმა მოწოდებით მიმართეს სომხეთის ჯარსა და მოსამსახურეებს, რომელშიაც განმარტებულია დამოკიდებულება ერთ მხრივ რუსეთსა და სომხეთს, მეორე მხრივ ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის; მოწოდება აღნიშნავს მტრულ განწყობილებას ადერბეიჯანის მხრივ და მოუწოდებს ჯარსა და მოსამსახურეთ მოიკრიბონ მთელი თავიანთი ძალები, რათა ქვეყანა უვნებლათ გამოვიდეს განსაცდელისაგან. ამასთანავე მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მთავრობამ უკვე მიიღო ყოველგვარი ზომები ჯარისა და მოსამსახურეების მდგომარეობის უზრუნველსაყოფათ.

**დილიჟანის ნოვო-ბაიაზეთის აჯანყების გამო.** „ნორ-აშხატავორის" ცნობით დილიჟანის ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლებში გმირულათ მოკლული იქნენ ცნობილი ბელადი მურადი და დაშნაკელების სტუდენტთა ბიუროს წევრი იაკობ ზარიფიანი.

ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ნორ-ბაიაზეთის ბოლშევიკურ მოძრაობის მეთაური მასწავლებელი ი. სარუხანიანი სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენით, დახვრეტილ იქნა. სარუხანიანს თავის უკანასკნელ სიტყვაში უთქვამს; მხოლოდ ეხლა შევიგნე ჩემი შეცდომა, ვგრძნობ, რომ სომხეთი დაიღუპებოდა, უკეთუ დაწყებული ბოლშევიკური მოძრაობა გამარჯვებით დამთავრდებოდა. უხარის, რომ მთავრობის ჯარებმა ადვილათ შესძლეს აჯანყების ჩაქრობა და ითხოვს, რომ მისი შვილები უმწეოდ არ დასტოვონ.

**ინგლისის ჯარები არზრუმში.** „ჰარაჩის" ცნობით ინგლისელები ახალ ძალებს გზავნიან ერზერუმისკენ.

**ს პ ა რ ს ე თ ი.**

**ენზელში.** ბაქოდან ჩამოსული პირი, სხვათა შორის, შემდეგს ატყობინებს გაზ. „სლოვოს": ბაქოში კარგა ხანია ჩამოვიდა ცნობილი რასკოლნიკოვი, რომელიც ახლა კასპიის ფლოტილიის სარდლათ ითვლება. მოსვლისთანავე რასკოლნიკოვმა განაცხადა, რომ ენზელი უნდა გადაიქცეს ბოლშევიკების გამაგრებულ ნავთსადგურათ და დაიწყო მზადება ენზელის დასაპყრობათ. ბოლშევიკების მეზღვაურებმა მალე დაიჭირეს ენზელი ქვეითა ჯარის დაუხმარებლათ. შემდეგ ენზელში გაიგზავნა დიდძალი ქვეითი ჯარები. ამბობენ, რომ ბოლშევიკებს განზრახვა აქვთ ენზელიდან დაიწყონ დიდი ოპერაციები. ბოლშევიკები ენზელისაკენ შემდეგის ლოზუნგით მიდიან: „სპარსეთისაკენ ბრინჯისათვის და ინგლისელების გასანადგურებლათ!" ლოზუნგის პირველ ნახევარს ბოლშევიკები ეხლავე ენერგიულათ ანხორციელებენ: ბაქოდან უკვე გაიგზავნა რამოდენიმე გემი ბრინჯისა და ხილეულობის მოსაზიდათ.

**ო ს მ ა ლ ე თ ი.**

**საზავო ხელშეკრულების გარშემო.** გაზ. „სტამბული" (10 მაისი) იტყობინება: პარიზიდან მოსული ცნობების თანახმად, ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ტექსტი იმ სახით ჩაბარდება, რომ შემდეგ მისი შეცვლა დაშვებული არ იქნება. საერთო დედა-აზრი ხელშეკრულებისა შემდეგია: წინანდელი საერთაშორისო ფინანსიური კომისია შეცვლილი იქნება ახალით, რომელშიაც ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენელნი შევლენ ერთნაირის უფლებებით. ოსმალეთის ვალის ნაწილი გადარიცხული იქნება ოსმალეთის იმ ნაწილებზე, რომლებიც ოსმალეთს ჩამოსცილდებიან. ეკონომიურ გავლენის სფეროები სასტიკათ იქნება გამიჯნული. სრუტეები დატოვებული იქნება საერთო კონტროლის ქვეშ. მოკავშირე სახელმწიფოთა უპირველეს მიზნათ ახლო მომავალში ის იქნება, რათა მოაწესრიგონ მცირე აზიის ხალხთა ეკონომიური და ფინანსიური ცხოვრება.

**ი ნ გ ლ ი ს ი.**

**ასკვიტი ხალხთა ლიგის შესახებ.** ასკვიტმა, გაზ. „ფორვერტსის" ცნობით თემთა პალატაში საერთო განიარაღებისა და ხალხთა ლიგის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: დღეს, როდესაც სან-რემოში წარმოებულ კონფერენციის მუშაობის შედეგებს ვითვალისწინებთ, ჩვენ უნდა ხმა-მაღლა განვაცხადოთ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს საერთაშორისო შეიარაღების პოლიტიკას. მოახლოვებულია დრო, როდესაც უმაღლესმა საბჭომ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ალაგი ხალხთა ლიგას უნდა დაუთმოს.

**ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი**

**რკინის გზელთა გაფიცვის მიზეზები.** აპრილის ბოლო რიცხვებში რკინის გზელთა ყრილობამ დაადგინა მეორეჯერ გამოაცხადოს გაფიცვა. არჩეულ იქნა ახალი საბჭო, რომელმაც შეიმუშავა რეზოლიუცია გაფიცვის გამოცხადების შესახებ. რეზოლიუციის შინაარსი შემდეგი იყო: ვინაიდან მთავრობა ყურადღებას არ აქცევს საკითხს პირველათ მომხდარ გაფიცვის დროს დათხოვნილ მუშების ხელახლა სამსახურში მიღების შესახებ, ყრილობა ადგენს გამოაცხადოს ხელახალი გაფიცვა, რომელიც მანამდე გაგრძელდება, სანამ არ დააკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნილებებს: 1) რკინის გზების სახელმწიფოს ხელში გადასვლა; 2) დათხოვნილ მუშების ხელახლა სამსახურში მიღება; 3) რეპრესიების არ ხმარება გაფიცვის დროს და 4) პროფესიონალურ კავშირების უფლებათა ცნობა. რეზოლიუცია მიღებულ იქნა 171,637 ხმით 147,282 ხმის წინააღმდეგ, 13,593 კაცმა თავი შეიკავა.

**გ ე რ მ ა ნ ი ა.**

**პროლეტარიატის დიქტატურისათვის.** გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიის კომისიის წევრმა (კომისიას დავალებული აქვს მოაწესრიგოს სოციალიზაციის საკითხები) და სოციალისტ-ტეხნიკოსთა თავმჯდომარემ ჰუგო პეტერსენმა გამოსცა ბროშიურა პროლეტარიატის დიქტატურის წინასწარ პირობების შესახებ. იგი ბროშიურაში, სხვათა შორის, შემდეგს ამბობს: ამ ჟამად არ არსებობს წინასწარი პირობა პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლათ. მასსა ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ამისთვის. ამის დასამტკიცებლათ პეტერსენს, სხვათა შორის, მოჰყავს ბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭოს მაგალითი და ამბობს, რომ ეს საბჭო ვერ აწარმოებს ვერავითარ დადებით აღმშენებლობით მუშაობას. იმათ საწინააღმდეგოთ, ვინც ფიქრობს, რომ ჯერ დანგრეული უნდა იქნეს ყველაფერი ძველი და შემდეგ შეიქნეს ახალი,—პეტერსენი ამბობს, რომ მთავარი ანგარიში უნდა გაეწიოს სამეურნეო განვითარების ბუნებას. ყურადღების ცენტრათ წარმოება უნდა იქნეს და არა ადამიანი, რომელიც წარმოებაშია ჩაბმული. ამიტომ ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ არა „მომხმარებელ კომუნიზმისაკენ", არამედ წარმოებისა და საწარმოო ძალების სოციალიზაციისაკენ. ამ მიზნისათვის კი საჭიროა გამოყენებული იქნეს ყველა შემოქმედებითი ელემენტები ბურჟუაზიულ წრეებიდან. ამათი მოწვევა სამუშაოსაკენ ერთ-ერთი წინასწარი პირობათაგანია სოციალისტურ აღმშენებლობისათვის. სოციალიზმის უმთავრეს წინასწარ პირობათ კი პეტერსენი სთვლის ბოლო მოეღოს უთანხმოებას თვით პროლეტარიატის წრეებში.

# 26 მაისი

**პროვინციაში.**

**ფოთი.** 26 მაისს მთელი ქალაქი ყვავილ-გირლიანდებით მოირთო. ყოველ სახლიდან გამოკიდებულ იქნა ეროვნული დროშები. დაიდგა ესტრადები: ქალაქის თვითმართველობის წინ, საბავშვო ბაღში, ქალაქ გარეთ „პარკში." დილით მთელი ქალაქის მოწაფეობა მასწავლებლებითურთ გაეშურა ყვავილებით და ბაირაღებით საბავშო ბაღში. იქ იყო სიმღერები, ცეკვა-თამაში, საბავშო წარმოდგენა, ლექსთა თქმა. ბაღიდან თერთმეტ საათზე ხალხი, დიდი და პატარა, დროშებით ხელში გაეშურა ქალაქის თვითმართველობის დარბაზისაკენ; მას წინ ეტლით, ხელში დროშით, მიუძღოდა საქართველოს თავისუფლების ემბლემა ასულის სახით, რომელსაც ირგვლივ უსხდნენ თმა-ხუჭუჭა ბავშვები, რომელნიც აქეთ-იქით ხალხში ყვავილებს აბნევდნენ ნიშნად მომავალის ეროვნულ ბედნიერებისა. ხალხი, ჯარი, მწყობრად დადგნენ თვითმართველობის დარბაზის წინ. პირველად მუსიკამ დაუკრა ეროვნული ჰიმნი. შემდეგ ესტრადაზე გამოვიდა ქალაქის თავი ა. კორძაია და მიესალმა ზღვა ხალხს და მხედრობას; აუხსნა დღის მნიშვნელობა, გაკვრით შეეხო მომენტს და ბოლოს უსურვა გამარჯვება ხალხს, მხედრობას და დემოკრატიულ მთავრობას. ხალხმა იგი უთვალავის ტაშით დააჯილდოვა. შემდეგ ილაპარაკა დღისა და მომენტის შესახებ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით ამხ. მ. კინწურაშვილმა, რომელმაც დაამთავრა თავისი სიტყვა გრძნობიერი ლექსით. ისიც დაჯილდოვებულ იქნა ხანგრძლივი ტაშითა და ვაშას ძახილით. შემდეგ ილაპარაკა სოცალ-ფედერალისტების სახელით თფილისიდან საგანგებოთ მოწვეულმა ს. დადიანმა. მეტად გრძნობიერი იყო მისი სიტყვა: თვით ატირდა და ხალხიც აატირა. მან მოუწოდა ხალხს ფრონტისა და უეჭველი გამარჯვებისაკენ, იქითკენ, სადაც ჩვენი ძმები, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვზეიმობთ, შეიძლება, სისხლისაგან იცლებიანო, დაამთავრა ორატორმა. შემდეგ ილაპარაკა. თფილისიდან საგანგებოდ მოწვეულმა ნაციონალ-დემოკრატმა ი. მაჭავარიანმა. მანაც მჭერმეტყველურად მოუწოდა ხალხს თავდაცვისა და მთავრობის გამაგრებისაკენ და აღნიშნა, რომ თუ ოდესმე დაქცეული საქართველო დავით მეფემ ააშენა, და მას მეტსახელად მადლიერმა ერმა უწოდა „დავით აღმაშენებელი", ეხლაც მისებრ ნიჭიერ მოღვაწეს, მის მსგავს ნოე ჟორდანიას უნდა ეწოდოს „ნოე აღმაშენებელი". როგორც ერთი, ისე მეორე, საპატიო სტუმრები, ზღვა ხალხმა უთვალავ-უანგარიშო ტაშითა და ვაშათი დააჯილდოვა. შემდეგ ადგილობრივი ამხანაგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ა. სამსონაძე მიესალმა ხალხს მოკლე, შინაარსიანი სიტყვით და წაუკითხა საბჭოს დადგენილება ქალაქის ქუჩების სახელების გადარქმევის შესახებ, მოსპობილ იქნა ყველა უცხო სახელები და ქუჩებს დაერქვა ყველა ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა სახელები, რითაც ხალხი დიდი ნასიამოვნები დარჩა. სრული ორი საათი იყო, როდესაც ხალხი მუსიკით, დამოუკიდებლობის ემბლემის წინ გაძღოლით, მხედრობით, ცხენოსანთა რაზმით, მწყობრად ქალაქის ბაღისაკენ გაემგზავრა. მოწაფეთა გუნდი სხვადასხვა სიმღერებს ასრულებდა გზა და გზა. სამ საათზე სეირნობა დაიშალა და ხალხი ოჯახებში წავიდ-წამოვიდა. მთელი დღე ბაზარი, გარდა სამი სასადილოსი, დაკეტილი იყო. ნაშუადღევის ოთხი საათიდან ხალხმა იწყო დენა ქალაქის „პარკში", სადაც მსურველთათვის თავიდან მზადდებოდა სადილი. აქ ხალხს დახვდა ესტრადა მორთული და ესტრადის წინ მოედანი თოკით შემოფარგლული. ესტრადა დაიკავა „ქიურიმ", ხოლო მოედანზე გაიმართა მეომართა „შავარდნობა", რომელმაც ხალხი განუსაზღვრელ აღტაცებაში მოიყვანა. შემდეგ გაიმართა ფალავნობა, რაშიაც თავი ისახელა ახალგაზრდა სირაძემ, რომელმაც არც ერთი მეტოქე ფეხზე არ დააყენა. შემდეგ მოვიდა ქორწილი ქართლურად მორთული ურმით, ურმებს ამშვენებდენ ტურფა ასულები აფხაზურად, მეგრულად, აჭარულად ქართლურად მორთულნი, და მათ ახლდნენ მაყრები მეგრულ, იმერულ ჩაქურ-ქართლურად მორთულნი. ზურნამ დაუკრა. სიძე-დედოფალმა კოხტად დაუარეს. აქვე იყო ლექსთა თქმა. ბოლოს დასძახეს ეროვნული სიმღერები: ხან მღეროდა ა. ჭყონიას ეროვნული გუნდი და ხან ძ. ლოლუას მოწაფეთა გუნდი.

სულ ბოლოს გავარდა ბურთი. ერთ მხრით იყვენ ცოლიანები, ხოლო მეორე მხრით უცოლოები. აჯობეს უცოლოებმა; და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. მშვენიერია ფოთის პარკი ბუმბერაზი ხეებით, ლაჟვარდ პალეოსტომის ტბას რომ ამაყად გადაჰყურებს. თვალთ-წარმტაცი იყო ამ დროს პალეოსტომის ტბა, რომელსაც ესტრადიდან პოეტმა იასამანმა მშვენიერი ლექსი უძღვნა. დაღამებისას ისევ ქალაქისკენ, რომელიც ამ დროს უკვე გაჩირაღდნებული იყო, გაეშურა ხალხი, ისევ თვითმართველობის წინ, ესტრადიდან გაისმა მოწაფეების მშვენიერი ლექსები: ქალვაჟნი ერთ-ურთს ეჯიბრებოდენ ლექსთა თქმაში. შემდეგ მგალობელთა გუნდი, ქორწილი და ხალხი დაიძრა ქალაქის ბაღისკენ. გზა-და-გზა ხალხს აჩერებდენ სხვადასხვა ორგანიზაციათა ბიუროების წინ; აქ ამბობდენ ეროვნულ ჰიმნს: „აღსდეგ გმირთ-გმირო"-ს და სხ. შემდეგ ყველანი შევიდნენ ქალაქის ბაღში, სადაც იყო უფასოდ ეკრანით სურათების ჩვენება და ფრონტის სასარგებლოდ ამერიკული ვაჭრობა.

სრულ თორმეტ საათზე დღესასწაულობა დასრულდა და მადლიერი ხალხი ოჯახებში წავიდ-წამოვიდა იმ ნატვრით, რომ გაის ეს დღე ყველას ბრწყინვალედ გაუთენდეს. **გიგიბერია.**

# დამფუძნებელი კრების წევრები პროვინციაში

**ქ. ზუგდიდი.** დამფუძნებელი კრების წევრები ალ. ჩიქავა და ი. კვარაცხელია მაზრაში აკეთებენ მოხსენებებს მიმდინარე მომენტზე. ყოველგან გლეხობა დიდის აღფრთოვანებით ეგებება მთავრობის ნაბიჯებს მტრებთან ბრძოლაში და გამოაქვთ შესაფერი რეზოლიუციები.

**კ. ჩ—ნი.**

**ახალციხის** მაზრის ვარხანის საზოგადოების ქართველი მუსულმანების კრებას, რომელიც შესდგა 15 მაისს, დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი თ. კიკვაძე და ერობის თავმჯდომარე. კრებამ მოისმინა რა დამფუძნებელი კრების წევრის თ. კიკვაძის მოხსენება თანამედროვე მომენტზე, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კრება სავსებით იწონებს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ზომებს ჩვენი დამოუკიდებლობის, თავისუფლების და მშვიდობიანობის დასაცავათ და აძლევს აღთქმას, რომ არ დაიშურებს არავითარ მსხვერპლის გაღებას ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის".

**ლანირ-ჰაგანი.** 23 მაისს შესდგა სახალხო დიდი მიტინგი დ. ჩხაიძის თავმჯდომარეობით. თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა პავლე წულაიამ, რომელმაც გააცნო კრებას ადერბეიჯანის მთავრობის მოქმედება, ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავება და მათი განზრახვები, საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულება, ადერბეიჯანთან ომის წარმოება, აგრეთვე მთავრობის საშინაო და საგარეო მოქმედებანი. იყო სხვადასხვა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა ყველას მისცა ახსნა-განმარტება. საერთოდ მოხსენება იყო შინაარსიანი და კრებაც დარჩა კმაყოფილი. მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „ლანირ-ჰაგანის თემის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი კრება გაეცნო რა დამფუძნებელ კრების წევრის, ამხანაგ პავლე წულაიას მოხსენებას რესპუბლიკის ეხლანდელი საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, ნიშნათ ულრმესი ნდობისა მხურვალე სალამს უძღვნის ქართველი ერის უზენაესი უფლების გამომხატველ დამფუძნებელ კრებას და მის წიაღში წარმოშობილ მთავრობას და ფიცით აღუთქვამს, რომ ის არ დაზოგავს თავის ნივთიერ და მორალურ ძალ-ღონეს საყვარელი სამშობლოს დასაცავათ".

**გოჩელი ა—ძე.**

# კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

**თფილისის სადარაჯო ათასეული.**

აგერ ერთი თვე სრულდება, რაც სადარაჯო ათასეულში მეცადინეობა დაიწყო სამხედრო სამინისტროს კულტურული სექციის მიერ გამოგზავნილმა მასწავლებელმა ბ. კალანდარიშვილმა. მისმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. წინეთ ასეთ საქმეში გულცივი ჯარის კაცები დღეს აღფრთოვანებით უსმენენ მასწავლებელს ლექციებს. პირველი მისი ორი ლექცია შეეხებოდა მომენტს, შემდეგ კი ყოველ დღე სწარმოებს მეცადინეობა ისტორიაში, ბუნების მეტყველებაში, გეოგრაფიაში და სხვ. ამას გარდა მთელი ჯარის კაცები დაიყო ორ ჯგუფათ: წერა-კითხვის მცოდნენი და არა მცოდნენი. უკანასკნელთ ამეცადინებენ შესაფერად მომზადებულნი ჯარის კაცები ოფიცრების ხელმძღვანელობით. ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევს მასწავლებელს ლეიტენანტი ვ.

გორგაძე, რომლის დაუღალავ და ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს 26 მაისის თეატრის გახსნა და ღირსეულათ ჩატარება. 26 მაისს ჯერ პირველათ ნორჩ ახლად დაარსებულ სად. ათასეულის თეატრში კულტურულ განმანათლების სექციის ინსტრუქტორის ლეიტენანტ გორგაძის ხელმძღვანელობით დაიდგა ჯარის კაცებისთვის უფასო წარმოდგენა „დედა და შვილი“ და „ტიმოთეს ლელვი“, აგრეთვე წაკითხულ იქნა ლექსები და ჯარისკაცთა გუნდმა შეასრულა სხვადასხვა სიმღერები. აღსანიშნავია კაპიტან მაყაშვილის და ლეიტენანტ ზანდუკელის დაუღალავი მუშაობა, როგორც სალამოს მოწყობაში, ისე ჯარის კაცების გათვითცნობიერებაში. ჯარის კაცებისათვის მუდამ დაუვიწყარი იქნება მათი ასეთი ყურადღება. საერთოდ მთელი სადარაჯო ათასეულის ოფიცრობა დიდი სიმპატიით ეკიდება ჯარის კაცთა ზნეობრივ და გონებრივ გათვითცნობიერების საქმეს, რაც აუცილებელი თავდებია იმისა, რომ ახლო მომავალში რესპუბლიკანურ საქართველოს ეყოლება სწავლული, ერთსულოვანი, შეგნებული დარაჯი. ჯარის კაცების სახელით მადლობას ვუძღვნი ნინა ქავთარაძეს, რომელიც დიდ დახმარებას გვიჩენს სასცენო საქმეში.

ჯარის კაცი **ვალიკო ნიკოლაიშვილი**

## ს. დ.-პარტიაში

**ქ. ზუგდიდი.** 4 მაისს შესდგა ახლად არჩეულ ს. ს. დ. მ. პ. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის სხდომა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ: ლეო შენგელაია, თავმჯდომარის ამხანაგათ: ქ. ვეკუა, მდივნათ—გ. ჩიქოვანი. კომიტეტმა გამოყო სეკრეტარიატი. კონსტრუქცია: კომიტეტის პრეზიდიუმიდან თავმჯდომარის ამხანაგი და მდივანი, ერთიც კომიტეტის წევრი.

ამ რიგათ, სეკრეტარიატში შედიან: ქ. ნარაკიძე, ქ. ვეკუა და გ. ჩიქოვანი. სეკრეტარიატს დაევალა შეიმუშავოს საერთო გეგმა პარტიული მუშაობისა, რომელიც უნდა წარედგინოს კომიტეტის მორიგ სხდომას. **გ. ჩ—ნი.**

**თფილისის საქონლის სადგური.** 27 მაისს თფილისის საქონლის სადგურის პარტიულ დარბაზში შესდგა ს. ს. დემ. მუშების და მოსამსახურეების პარტიის წევრთა შეერთებული კრება. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეული იქნა ამხ. ს. ჩიგოგიძე, მდივნობდა ინწკირველი. დღის წეს-რიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) კანონი ჯარისკაცებზე, 2) ნ. ჟორდანიას ნაწერები, 3) სერგო დოლიძის თხოვნა, 4) მოწაფეების შესახებ, 5) პარტიული კრების დღის შეცვლა, 6) სასადილო „შეღავათის“ გამგის გამოცვლა და ახლის არჩევა. განცხადება სიმონ ასამბაძის და სხვადასხვა.

გამოცემული დამფუძნებელი კრების მიერ კანონი ჯარისკაცების შესახებ კრებას გააცნო ამხ. ელენტმა, რითაც კრება კმაყოფილი დარჩა. ნოე ჟორდანიას ნაწარმოების შესახებ კრებამ სცნო სასურველად რათა ყველა ამხ. პარტიის წევრებმა შეიძინონ ყველა ტომები.

სერგო დოლიძის, თხოვნის თანახმად პარტიული კრება ირჩევს სამი კაცისაგან შერეულ კომისიას, რომელშიაც შედიან ამხ. ვასო ელიკაშვილი, იოსებ ბერიშვილი და არსენ მახარაძე. მოწაფეების შესახებ იქნას სასწრაფო ზომები მიღებული ადრე გამოარკვიონ ვის რამდენი სული ყავს სასწავლებელში ან და რომელ სასწავლებელში. პარტიული კრება თანახმად ნოე ჯიბლაძის თხოვნისა, ხდებოდეს ნაცვლათ ხუთშაბათისა პარასკეობით სალამოს 5 საათზე. კრებამ მიიღო.

სასადილოს „შეღავათის“ შესახებ მოხსენებას აკეთებს „შეღავათის“ სარევიზიო კომისიის წევრი. ამხ. პ. ინწკირველი და ამხ. დ. ელენტი, რომელთაც გააცნეს კრებას სასადილოს ანგარიშები და მოუწოდეს სიჩქარე არ გამოეჩინათ სასადილოს გამგის არჩევაში. პარტიულმა კრებამ მადლობა უძღვნა, როგორც სარევიზიო კომისიას, ისე გამგეს.

დასასრულ მოხდა სასადილოს გამგის არჩევა ნაცვლათ ვასილ ხარაბაძისა. ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ჭ. ელენტი, სარევიზიო კომისიაში: 1) პ. ინწკირველი 2) გ. ლლონტი, 3) მახარაძე. **ჭ. ჩ.**

**თფილისი.** 27 მაისს შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. მოსმენილ იქნა კომიტეტიდან ამხ. ი. ირემაშვილის და მ. ტერელაძის მოხსენებები. ქალაქის თვითმართველობასთან სოციალურ დამხმარე კომიტეტის დაარსების და პარტიულ წიგნების გამოცემის გაუმჯობესობის შესახებ. რამდენიმე შეკითხვა-განმარტების შემდეგ კოლექტივი ღებულობს მოხსენებას. მე-4 სამ. უბნის მცირე კოლექტივიდან მოხსენება მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან, რადგან უკანასკნელი სხდომა მცირე კოლექტივისა არ შემდგარა. მე-5 რაიონულ უბნის მცირე კოლექტივიდან მომხსენებელია ამხ. გამყრელიძე. ის აღნიშნავს მცირე კოლექტივის დადგენილებებს, კვირას 30 მაისს მოწვეულია აბანოებში მომუშავე პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც მოსმენილი იქნება მიმდინარე მომენტზე მოხსენება, საჭიროა მომხსენებელი კოლექტივმა დღესვე დაასახელოს. კოლექტივი ადგენს: ეთხოვოს თფილისის კომიტეტს მე-6 რაიონისთვის გამონახოს სამ ენაზე ქართულ, თათრულ და სომხურ ენაზე პროპაგანდისტი, ვინაიდან მე-6 რაიონის პარტიის შემადგენლობა უმთავრესად ამ ეროვნებიდან შესდგება. წაკითხულ იქნა ადგილობრივ მუშათა კლუბის მომართვა, რათა კოლექტივმა ფართო მონაწილეობა, თავის წარმომადგენელის სახით, მიიღოს საზაფხულო სეზონის გახსნაში, რომელიც მოხდება განსაკუთრებულ კლუბის მიერ გაშენებულ ბაღში. ერთ წელზე მეტია რაც კლუბის გამგეობა ამ ბაღის გასაშენებლად აწარმოებს ფართე მუშაობას. გახსნის დღეთ დანიშნულია კვირა, 6 ივნისი. კოლექტივი ამ საქმის მომწყობ კომისიაში ირჩევს 3 ამხანაგს ი. ირემაშვილს, გ. გოგინაშვილს და ეს. შუბლაძეს. კოლექტივის საქმის მწარმოებლის მოვალეობის ასრულება დროებით დაევალა ამხ. ლ. ემანაძეს, რადგან საქმის მწარმოებელი ჯარში იქნა გაწვეული. განხილულ იქნა პარტიაში შემომსვლელ პირთა სია და ბოლოს კოლექტივი ისმენს განცხადების სახით სხვადასხვა საგულისხმო კითხვებზე ცნობებს.

მდივანი **მ. ნ.**

## მუშათა შორის

**მეტყავეთა კავშირში.** ამა წლის 14 მაისს, სალამოს ხუთ საათზე, მეტყავეთა შეერთებული საქარხნო კომიტეტების ინიციატივით, მოწვეულ იქნა ტყავის დამმზადებელ მუშების, და ტყავეულობაზე მომუშავეთა საზოგადო კრება. მეტყავეთა კავშირის გამგეობაში ეს რამოდენიმე ხანია, რაც კომუნისტები ბატონობენ. ეს კავშირი თავის არსებობის ხანაში, თანდათან ააშკარავებდა თავის სისუსტეს მუშების ინტერესების დაცვის საქმეში. ამ უკანასკნელ თვეებში მუშები სრულიად დაიქსაქსენ და რადგან კავშირის სახით ვერ ხედავდენ ისეთ ორგანოს, რომელიც დაიცავდა, მუშების ინტერესებს ისე, როგორც ამას მოითხოვდა მათი მდგომარეობა, მუშების დიდი ნაწილი ჩამოშორდა კავშირს. იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატია ერთსულოვნათ აშენებს დემოკრატიულ სახელმწიფოს და საკუთარი სისხლით იცავს ქვეყნის თავისუფლებას, აი სწორედ ამ დროს მეტყავეთა კავშირი გამოეყო საქართველოს მუშათა კლასს დაიწყო დემოკრატიის საწინააღმდეგო მუშაობა. ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს მოხდა. პროფესიონალური კავშირი გადააქციეს წმინდა პოლიტიკურ ორგანიზაციად. შედეგი მათი ასეთი მოქმედებისა?

ეს არის დაქსაქსვა მუშებისა, რითაც საგრძნობლათ იჩაგრებოდენ მუშები, ვერ ღებულობდენ თავის დროზე „ჯამაგირს, იდევნებოდენ სამუშაოდან სისტემატიურათ. მრავალნი ვერ ღებულობდენ სურსათს, რადგან ფონდის ფულის გადახდა მათ „ხაზეინებს“ არ სურთ და ძალას კი ვერავინ ატანს. გარდა ამისა, მოიპოვება მრავალი ფეხსაცმელების სახელოსნოები, რომლის მუშებიც არამც თუ არ ირიცხებოდენ კავშირში, არამედ არც კი იციან არსებობდა რამე ასეთი თუ არა? არიან სახელოსნოები, სადაც მუშაობენ 10—12 მუშა, რომელთაც ჯერ კავშირზე არაფერი არ იციან. მუშაობენ დღეში 11 ან 12 საათს, ვერ ღებულობენ სურსათს, იღებენ ძალიან მცირე ჯამაგირს. ენატრებათ კაცი, რომელიც დაეხმარება მათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებაში, მაგრამ... ასეთი ჯერ მათ არავის არ უნახავთ. იყვნენ მუშებიც, რომელნიც ირიცხებოდნენ კავშირში, შეჰქონდათ კავშირში საწევრო გადასახადი თავის დროზე. მაგრამ, როდესაც ეს მუშები მიმართავდენ ხოლმე კავშირს დახმარებისთვის, ამ უკანასკნელს მათთვის არ ეცალათ... და აი სწორედ დღეს, როდესაც, მუშებმა უკვე შეიგნეს ხაიდვილი პროფესიონალური ორგანიზაციის შექმნის საჭიროება; როდესაც დაინახეს თავის თვალით, თუ რა შედეგი მოუტანა კავშირის მეთაურების ასეთმა საქციელმა, როდესაც ნახეს, რომ მათ მუშები დააყენეს დაღუპვის გზაზე, მუშების დიდმა უმრავლესობამ გადაჭრით მოითხოვა დაუყოვნებლივ საზოგადო კრების მოწვევა, სადაც უნდა მოეხდინათ რეორგანიზაცია კავშირისა და ომლის ახგარიშიც აქვე მოგვყავს. კრებას დაესწრო 247 მუშა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ლაბაური. დღიური წესრიგი: 1) რეორგანიზაცია კავშირის. 2) მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლაბაური, რომელიც ეხება კავშირის გამგეობის მოქმედებას. ეს გამგეობა მომხსენებლის სიტყვით, ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას პირნათლათ. გამგეობამ არ იცოდა რა კეთდებოდა ქარხნებში. მაგ., არ იყო აქამდის ბევრგან საანგარიშო წიგნაკები, თუ იყო სადმე, ისიც შეუვსებელი; არ იყო აღნიშნული, როდის მოვიდა სამუშაოზე მუშა, რამდენი აქვს ჯამაგირი და სხვ., რითაც უნდა ეხელმძღვანელათ, როგორც ჯამაგირის მიცემის დროს, აგრეთვე ლიკვიდაციის დროს. ბევრი მუშა მაგ. დაბღებში სრულიად უსაფუძლოთ ყოფილა დათხოვილი სამუშაოდან, სალიკვიდაციო ფულის მიუღებლათ. ბევრი ვერა ღებულობდა გაცდენილი დღეების ჯამაგირს. მომხსენეველს მოჰყავს საკმაო ფაქტები, რითაც ამტკიცებს გამგეობის უმოქმედობას. სიტყვის დასასრულს მომხსენებელი მოუწოდებს კრებას, რათა მოხდეს რეორგანიზაცია კავშირისა, არჩეენები ახალი გამგეობისა. სიტყვა ეძლევა სეკრეტარიატის წარმომადგენელს ამხ. ფანცხავას, რომელიც სხვათა შორის ამბობს: რომ პროფესიონალურ კავშირათ, ეს კავშირი აქამდის არა ყოფილა ჩამოყალიბებული. კავშირის მეთაურები, კომუნისტები, უყურებდენ კავშირს პარტიული თვალსაზრისით. ეს კი დაუშვებელია. დღევანდელმა კრებამ უნდა აირჩიოს ახალი გამგეობა. აქამდის თუ კომუნისტები იბრძოდენ ჩვენს წინააღმდეგ, შეიძლება ეს იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთი ჩვენ არ გვცნობდა; მაგრამ დღეს, როდესაც საბჭოთა რუსეთმა ხელშეკრულება დასდო ჩვენთან, რითაც სცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას, როცა მოისპო ყოველგვარი გაუგებრობა ჩვენსა და მოსკოვს შორის, აქაურ კომუნისტებმა ყოველგვარ დავის გარეშე უნდა იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა, და თუ ამის შემდეგაც, როგორც წინად განაგრძობს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ ჩვენი მთავრობა მათ ისე გაუმასპინძლდება, როგორც ანარქისტებს. თუ კომუნისტები მოისურვებენ ჩვენთან, აქ, კავშირებში მუშაობას, ჩვენ ამას სიხარულით შევხვდებით. მაგრამ თუ ისინი კავშირის ფულებით მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გამოშვებას მიჰყოფენ ხელს, რაც თქვენმა კავშირმა წარსულში უკვე ჩაიდინა, მაშინ ისინი იქნებიან დასჯილნი. სიტყვას იღებს ამხ. ლაცაბიძე. ის ამბობს: მეტყავეთა კავშირმა თავისი მოქმედებით მოინდომა სახელმწიფოში სახელმწიფოს დაარსება. აქ ერთმა ამხანაგმა განაცხადა, რომ კრება მცირერიცხოვანიაო. ეს არაფერია, რადგან ლითონზე მომუშავეთა განახლებულ კავშირში მხოლოდ 200 კაცი ითვლებოდა, როცა ძველი კავშირის გამგეობას გამოეყო, მაგრამ ეხლა 1070 წევრი ჰყავს ამ კავშირს და თან მუდამ კვირა 30, 40 წევრი ემატება. ამხ. კოჟლამაზაშვილი ამბობს, ჩვენ გვინდა ერთად შეკავშირებულათ ყოფნა, ჩვენ არ გვინდა ცალ-ცალკე არსებობა, ეს მავნებელიაო.

კამათი შესწყდა. შემოდის წინადადება კრება ჩაითვალოს კანონიერათ და აირჩეს ახალი გამგეობა. ამხ. ფანცხავას წინადადებით პრინციპიალურად მიღებულ იქნა 15 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. ამ კრებაზე აირჩა 11 წევრი გამგეობის და რადგან მოსალოდნელია სხვა ქარხნების შემოერთება, გამგეობა შეივსება სხვადასხვა ქარხნების წარმომადგენლებისაგან; გამგეობაში გავიდენ: 1) თოდრია, 2) კოჟლამაზაშვილი, 3) თავართქილაძე, 4) ძამაშვილი ვასილი, 5) მამარდაშვილი, 6) ჩუმაჩენკო, 7) კოსტანიანცი, 8) მერაბაშვილი, 9) აფხაზავა მოსე, 10) მურალოვი, 11) ალი ისკანდერ ბახლუოღლი. მათ კანდიდატებათ: 1) აივაზოვი საქულა, 2) მინასიანცი ვასილი, 3) ხუციშვილი ალექსი. სარევიზიო კომისიის წევრნი: 1) სამოდოვი ილიკო, 2) გულვერდოვი, 3) არშაკ ოლადოვი. კანდიდატები: სეროპოვი, 2) გალეჩიანცი. **ვანიკო.**

## გორის ფონდი

მიწისძვრისაგან დაზარალებულ ქართლელთა დამხმარე ვაჭარ-მრეწველთა მთავარმა კომიტეტმა მოაგროვა ქ. თფილისში 3,742,272 მ. 20 კაპ., ბათომში—1,400,000 მან., პროცენტები თანხისა 12, 374 მ. 99 კაპ., სულ 5,154,647 მ. 19 კაპ.: დაიხარჯა 27,364 მ. 20 კაპ., ნაშთი 5,127,282 მ. 99 კაპ. გადაეცა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის მთავარ კომიტეტს.

კომიტეტი უძღვნის ულრმეს მადლობას ფულის შემგროვებლებს და შემომწირველებს, რომელთაც გამოიჩინეს დაზარალებულთადმი დიდი გულუხვობა.

პატივისცემით, კომიტეტის თავმჯდომარე **დიმ. აფხაზი.**

მდივანი **მიხ. ჯავახიშვილი.**

ს. ხორგის მოქალაქე გერმან მერცხულავამ შემოსწირა გორელების სასარგებლოდ 300 მ.*)

## თეატრი და ცხოვრება

**მე-6 რაიონის მუშათა კლუბი.** წარსულ კვირას კლუბთან არსებულ ქართულ წრის მიერ დადგმულ იქნა გუნიას დრამა „და-ძმა“. უნდა ითქვას, რომ თუმცა ამ პიესას თავისი დრო მოჭმული აქვს, მაგრამ ის მაინც იმისთანა მომენტში იქნა დადგმული, რომ ხალხი ბლომათ დაესწრო და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა მაყურებლებზე. ტეხნიკურათ პიესა გვარიანად ჩატარდა. მარინეს როლში ქ-ნი ჯორჯიაშვილი სუსტობდა; კარგი იყო „ოტია“-ს როლში ბ-ნი გორდაძე, კილო, მიხვრა-მოხვრა ხელს უწყობდა ამ სცენის მოყვარეს. არა უშავდა რა ადამიას როლში ბ-ნ რატიშვილს. კარგი იქნებოდა გაიოზის როლში ბ-ნი კორინთელი, სუსტი ხმა რომ არ ჰქონდეს, რაც მის დაკვირვებულ თამაშს ანელებდა. ფამას როლში ბ-ნი ფადაროვს არა უშავდა. დანარჩენი ანსამბლს ხელს უწყობდენ. კლუბში წესრიგი კარგათ იყო დაცული, რისთვისაც მადლობის ღირსია კლუბის გამგეობა. **ეკალი.**

**გრიშაშვილის სალამო.** ხუთშაბათს, ივნისის 10-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართება გრიშაშვილის სალამო. სალამო შედგენილია საინტერესოდ. პირველ განყოფილებაში გრიშაშვილზე სიტყვას წარმოსთქვამს: დიტო უზნაძე, 2) წარმოდგენილი იქნება ერთი მოქმედება „ციმბირელიდან“ სადაც მსახიობებათ გამოვლენ ქართველი მწერლები, 3) დეკლამაციაში მონაწილეობას იღებს: ვერიკო ანჯაფარიძე, მ. ჰიაურელი, ი. ზარდალიშვილი, ნ. ერისთავი და ი. გრიშაშვილი. გრიშაშვილის ლექსების საკუთარ თარგმანს წაიკითხავენ ელისაბედ ორბელიანისა (ფრანგულად), არტურ ლეისტი (გერმანულად) და რუსულად სანდრო ყანჩელის, გოროდეცკის, ბიბირიოვის თარგებს; ა. გერმანოვისა და ნ. ხოდოტოვი. დასასრულ თავუნა. 4) კონცერტი. სხვათაშორის შესრულებული იქნება გრიშაშვილის სიტყვებით ახალი რომანსები, ია კარგარეთელისა, დ. არაყიშვილისა, ვ. დოლიძისა და ახალგაზდა კომპოზიტორ ქალის თამარ შავერზაშვილისა: მონაწილეობენ: ა. ს. ვოლ ლევიცკაია, ო. ს. კალანდაძე, მ. ნანობაშვილი, ი. სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, და ვ. ლორთქიფანიძე. დასასრულ თარზე და ჰიანურზე დაუკრავენ აშუღები: ბალა და იაგორა. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

*) ფული მივიღეთ. **რედ.**

## პროვინცია

**ს. ბოხვაური** (ოზურგ. მაზრა). გამოცხადებული მობილიზაცია ჩინებულათ მიმდინარეობს. ხალხი ყოველგვარ ზომებს ღებულობს, როგორც ერთი კაცი, არ დარჩეს წაუსვლელი, ვისაც კი სამხედრო ბეგარის მოხდა უწევს: გვარდიელებიც საკმარისათ მისცა ხსენებულმა სოფელმა. 9 მაისს არჩეულ იქნა ჯარისკაცთა და გვარდიელთა ოჯახების დამხმარე კომიტეტი.

**მარტყოფი.** 26 მაისს შემდგარმა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მარტყოფის რაიონისა მოისმინა რა მოხსენება ლადო კაკაბაძისა, ესალმება დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას რესპუბლიკის დაცვაში.

ყრილობის მონდობილობით: **კახბრიშვილი, ებიტაშვილი, ძამაშვილი.**

**ს. გორა-ბერეჟოული** (გურია). 8 მაისს განსვენებულის ანდრი ცენტერაძის დასაფლავების დღეს ნათესავებისა და მოყვრებისაგან გარდაცვალებულის სახელის აღსანიშნავათ მოგროვებულ იქნა შემოწირულება შემდეგი პირებისაგან: 400 მ. მ. გ. სიხარულიძემ, 300 მ. თითოეულმა: ს. კობიძემ, გ. ლომთათიძემ, ს. ცინცაძემ და ბ. ლომთათიძემ; ორას-ორასი მანეთი: მ. ჰანიშვილისამ, ი. დოლიძემ და ს. ჰანიშვილმა და ას-ასი მანეთი; ი. ჰანიშვილმა და ი. შაფათავამ. სულ 2400 მანეთი. ზემოხსენებული ფულები შემომწირველთა თანახმად გადაეცა ადგილობრივი სოფ. გზის გამკეთებელ კომისიას წამხდარი და გაფუჭებული გზების შესაკეთებლათ. აგრეთვე როგორც ფული, ისე გარდაცვალებულის შვილმა ს. ცენტერაძემ ოთხი გვირგვინი შესწირა საზოგადოებას, რომლის გაყიდვის შემდეგ ფული მოხმარდება გზას. საზოგადოება ულრმეს მადლობას უცხადებს იმ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

მონდობილობით **აკაკი კობიძე.**

**ახალქალაქის თემი** (გორის მაზრა). ახალქალაქის თემის მთის ნაწილში სოფ. გოსტიბეში 22 მაისს ახალქალაქის თემის გამგეობის წევრ ამხ. ს. ოქრუაშვილის და უფროსს მილიციონერ გ. ასლამაზაშვილის თანადასწრებით გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ 5 სოფლის მცხოვრებელი მთიელები. მისულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს მომენტზე და შეეხნენ მრავალ საჭირბოროტო კითხვებს. დამსწრეები დიდის ხალისით და ინტერესით უსმენდნენ ამხანაგებს. ეტყობათ მოკლებულნი არიან ყოველნაირ ახალ ცნობებს. ყველაფერს, რაც კი ჩვენს ქვეყანაში ხდება, მთიელები ძალიან დაგვიანებით იგებენ და გარდა დაგვიანებისა, იგებენ დამახინჯებულათ, ქუჩაში გაგონით. საჭიროა ხშირათ იმართებოდეს ასეთი მიტინგები მთიელების სოფლებში, რომელნიც სწორ ამბების გაგონას მოკლებულნი არიან. რომ სწყურიათ ყველაფრის გაგონა და ცოდნა, ეს იქიდახაც სჩანს, რომ წამოსვლის დროს ამხანაგებს ეხვეწებოდენ, ხშირათ მოდითო. მიტინგის დასასრულს გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „მრავალრიცხოვანმა მიტინგმა, შეკრებილმა სოფ. გოსტიბეში, მოისმინა რა მოხსენება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე, მიესალმება მთავრობას, იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ფიცს სდებს, რომ მოპოვებულ თავისუფლებას, რომლის დიდი მოყვარულია მთიელი ხალხი, არავის დაანებებს და პირველ დაძახებისთანავე მზათ იქნებიან ყველა მთიელები, როგორც ერთი კაცი, აღოუდგნენ მთავრობას გვერდში და შეებრძოლონ ჩვენი ქვეყნის ყველა მტრებს. **გარეული.**

**ცხინვალი.** მაისის 8 შესდგა აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის ცხინვალის ფილიალურ განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე გამოცხადდა 23 წევრი 34-დან. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გამგეობის თავმჯდომარე ბ. ლაზარაშვილი, მდივნად გამგეობისავე მდივანი დ. საძაგლიშვილი. გასახილველია გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი საკითხები.

კრების დადგენილებანი: 1. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა კავშირის საბჭოს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ცხინვალში მომავალ ეკენისთვიდან გაიხსნას თავის ხარჯზე ახალი ტიპის გიმნაზია. ამის შესახებ ეთხოვოს ცხინვალის და შინდისის თემების ხმოსანთა ყრილობებს და აგრეთვე ცხინვალის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს, რათა მათაც გამოიტანონ ასეთივე დადგენილებანი.

2. ცხინვალის რაიონის მასწავლებლებს თუმცა უკვე მიუღიათ აქტიური მონაწილეობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ სხვა და სხვა შემოწირულებების მოკრების სახით, მაგრამ კრება მაინც კიდევ ადგენს გაიღოს წვლილი სურვილისამებრ.

3. დელეგატის არჩევა მასწავლებელთა მომავალ კონფერენციაზე გასაგზავნად გადაიდოს მთავარ ბიუროსაგან მოწერილობის მიღებამდე და მაშინ მეორედ მოწვეულ კრებაზედ აირჩეს დელეგატი. უკეთუ საკმარისი რიცხვი წევრებისა არ დაესწრება ხსენებულ კრებას საპატიო მიზეზების გამო, მაშინ დამსწრეთ მაინც უფლება ჰქონდეთ დელეგატის არჩევისა.

4. სასწავლო ნივთების და სხვა საგნების საწყობის გახსნა მიენდოს განყოფილების გამგეობას.

5. თუ სამაზრო ერობამ გახსნას საზაფხულო კურსები მასწავლებელთათვის, თანახმად მის განათლების განყოფილების გამგის მწერლობისა, კრება ადგენს: ეცნობოს სამაზრო ერობის გამგეობას, რომ ცხინვალ-შინდისის თემების მასწავლებელთათვის სასურველია ხელ-გარჯილობის და ხატვა-ხაზვის კურსები ერობის ხარჯზე.

6. თანახმად თვით შინდისის თემის მასწავლებელთა სურვილისა, ცხინვალის რაიონის მასწავლებელთა კავშირის წევრთა შემადგენლობა რჩება უცვლელად.

7. ცხინვალის თემის სასკოლო კომიტეტში წარმომადგენლად ამავე თემის მასწავლებლებიდან ერთხმად ამორჩეულია ალექსანდრე მელქოევი.

8. მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა, სადაც ჯერ არს, მიენდოს გამგეობას მაზრის მასწავლებელთა კავშირების ცენტრთან შეთანხმებით, თუ ასეთი კიდევ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიემართოს დაუყოვნებლივ ამ საკითხის შესახებ მასწავლებელთა კავშირის მთავარ გამგეობას.

9. საწყობის მოგვარებასთან ერთად მიენდოს გამგეობას ზაფხულში ჰერბარიუმის შეძენის საქმეც. ამ მიზნის განსახორციელებლად ევალება გამგეობას ითხოვოს სესხი სამაზრო ერობიდან და კიდევ სხვა და სხვა დაწესებულებებიდან.

10. ეთხოვოს ცხინვალის თემის გამგეობას იკისროს შინდისის თემის მასწავლებელთათვისაც ჯამაგირების და სურსათის მოწოდება, რადგან შინდისის თემში ჯეროვნად ვერა ხერხდება ამ საქმის მოგვარება.

11. გამგეობის შემადგენლობის საკითხის შესახებ კრება ერთხმად ადგენს: დარჩეს ძველი შემადგენლობა: ე. ი. ბ. ლაზარაშვილი, ვ. იარალოვი და დ. საძაგლიშვილი; პირველ კანდიდატად ს. კობალაძე, მეორედ ა. მელქოევი.

**ტობანიერის თემი.** თეენახევრის გვალვას და საშინელ გამანადგურებელ ზვავქარს როგორც იქნა, ბოლო მოეღო. ისეთი საუცხოვო წვიმიანი დღეები დაგვიდგა, რომ თუ ასე გაგრძელდა, კარგ მოსავალს უნდა ველოდეთ. შარშანდელი მოუსავლობა მძიმედ დააწვა აქაურ მშრომელ ხალხს. ტობანიერის ხალხს არ ახსოვს უსიმინდობა, სიმშილი; წელს კი ორი მესამედზე მეტი დამშეულია და აუტანელ გაჭირვებას განიცდის. ჩვენი უბედურება ისაა, რომ არც სამაზრო და არც ცენტრალურ მთავრობას არ სჯერა ტობანიერის ხალხის დამშევა, რადგანაც იციან, რომ მოსავლიანი კუთხეა, მაგრამ ორი კვირის უკან დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე ეწვია ამ თემს და მოხსენების შემდეგ მოისმინა ყველა ის გაჭირვება, რაც სიმშილმა მიაყენა ტობანიერის მკვიდრთ. აწი მაინც ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა არ დაიშურებს დახმარებას ჩვენთვისაც. ამ შექმნილი მდგომარეობით უნდოდათ ესარგებლებიათ აქაურ „ბოლშევიკ-კომუნისტებს“, მაგრამ მათმა ცდამ ამაოთ ჩაიარა, არ გასჭრა, რადგანაც ხალხი, როგორც მაძღარი, ისე მშიერი, კარგათ იცნობენ მათ. ამ ბოლო დროს ბნელეთის მოციქულებმა წამოყვეს თავი და ფანატიკების სახით ევლინებიან სოფლის ხალხს. ეტყობათ მათ კარგი აგენტები გაიჩინეს და 10—12 წლიანი ბავშვების სახით ატყუილებენ ზოგიერთ გულუბრყვილოებს, ვითომც ანგელოზები ეცხადებათ და მოუწოდებენ ხალხს იუქმონ რაღაც არაჩვეულებრივი დღეები. აღსანიშნავია, რომ ეს ვაჟბატონები აწყობენ მუშაობას უფრო მივარდნილ და ჩამორჩენილ სოფლებში. საუბედუროთ ამას ხელს უწყობენ ზოგიერთი სულიერი მამებიც. არიან მღვდლები, რომლებიც ებრძვიან ასეთ მოვლენებს. სადაც მთავრობა ზომებს ღებულობს ამათ საწინააღმდეგოთ, იქ ხალხიც რწმუნდება, რომ მათ ატყუილებენ. საჭიროა მკაცრი ზომების მიღება, რომ ისედაც ათასგვარ გაჭირვებაში ჩავარდნილ მშრომელ ხალხში არევ-დარევა არ შეიტანონ. **ს. ეფემიაშვილი.**


## განცხადებანი

რკ. გზის სამოსწავლო განყოფილებას

### ესაჭიროება

პარტები: საკლასო დაფები, კაფედრები, შვედური ჩოთქები, ვენის სკამები და სახელმძღვანელო წიგნები. ცნობებისთვის მიმართეთ: ელისაბედის ქ. № 200 სამოსწავლო განყოფილებას, დილის 9—3 ს-მდე. (1675—7—4)

იყიდება

### ერთი მატორი 20 ძალიანი

ოტოდეიცის, 1 ხერხის დაზგა, თუჯის, 2 ნავთის ქვაბები, რომელშიაც ჩადის 350 ფ., 8 ხერხი რგვალი 3 ვერშ.—10 ვერშ. 1—წისქვილი ხელოვნური ქვით „შარიკებზედ“, 2—„ვაგონეტკა“, 22 არშინი რელსები და სხვა. პირობების გაგება შეიძლება ქ. სამტრედიაში სოლომონ მიქელაძის სახლში ადეიშვილთან. (1744—3—2)

### განცხადება

რკინის გზის სასწავლებელთან არსებულ საქსოვ სახელოსნოში სიჭიროა გამგე. პირობების გაგება შეიძლება რკ. გზის სამოსწავლო უწყებაში ელისაბედის ქ. № 200. (1748—5—2)

ექიმი

### გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. (ბარნოვის ქ. № 22, სოლოლაკი)

ცეკვის სასწავლებელი

### ი. ა. როზენბერგისა

არსებობს 27 წელიწადი, ასწავლის სპეციალურად: აზიურს, საბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველდღე, დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 101. (527—5—2)

ექიმი

### სოლომონ ისაიას ძე პოლოხი

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. სალ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

### გენრის ისაიას ძე პოლოხი

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., სალ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **მ. გოლშტეინი**

თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. სალ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი

### კ. გ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. სალ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი

### ე. მ. მძინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №27 ტელ. 10—37. (1638 თ.)

ექიმი

### ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—1)

ექიმი

### ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 913) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 30, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. სალ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

### ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჰლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიმაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

კბილის ექიმი

### ე. თ. ლორის-მელიკოვი ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და სალ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—5)

ექიმი

### ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—3)

### მათემატიკის მასწავლებელნი

ა. დ. ტიროტინი (ყოფ. დირექტ. თ. რ. ს. და წევრი გიმომცდელი კომიტეტისი სამოსწავლო კივკასიის ოლქისა) ივ. მარკ.მაჩაიძე, ყოფილი გამგე და დამაარსებელი სრულუფლებიან გიმნაზიისა, ამზადებენ მოზრდილთა გამოცდებზე შემოდგომისათვის ყველა სასწავლებელში და განსაკუთრებით მათემატიკაში. მსურველთა განმეორებითი გამოცდებისათვის და საფუძვლიანად შესასწავლად. მისამართი: პლეხანოვის ქ. № 25, შესავალი ალექსის ქ. 25, მაჩაიძის ბინა. (ნ. 2—2)


საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.